საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ, იკითხეთ

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 20 (2133) | შაბათი, 3 თებერვალი, 1996 წელი. | ფასი 30 თეთრი

პირველი სვეტი

ექსპერტები კმაყოფილი დარჩნენ

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა მიიღო გაეროს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც შეისწავლა ჩვენს ქვეყანაში ზღვაზე უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, სხვა სპეციფიკური საკითხები. ჩვენმა სტუმრებმა აღნიშნეს ქართველ სპეციალისტთა პროფესიონალიზმი, საზღვაო საქმის მაღალი დონე, ამასთანავე, — ამ სფეროსთვის დახმარების გაწევის აუცილებლობა. ისინი დაგვპირდნენ, რომ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია მხარში ამოგვიდგება.

შეიძლება სხვასაც მისწვდეს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განცხადებაში გამოთქმულია პროტესტი, ახლახან რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მცირე დარბაზში გამართული პრესკონფერენციის გამო, რომელზეც არძინბამ და მისმა თანამზრახველებმა დასვეს საკითხი სსრ კავშირის რეანიმაციისა და აღდგენის, რუსეთის შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლის საჭიროების შესახებ.

„სეპარატიზმი, რომელიც აფხაზეთში დაიწყო და ჩეჩნეთში გრძელდება, შეიძლება მისწვდეს სხვა ხალხებსაც. ამას ხელს უწყობს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ზოგიერთი დეპუტატიც, რომლებიც უგულებელყოფენ რა რეალურ სინამდვილეს, მხარს უჭერენ აფხაზურ სეპარატიზმს“, — ნათქვამია განცხადებაში.

ქართველი პარლამენტარები ლონდონში

საქინფორმის ლონდონელი კორესპონდენტი გვატყობინებს:

რეალური ურთიერთგაგების გზა — ასე დაახასიათა ლანა ღოღობერიძემ, საქართველოს პარლამენტის დელეგაციის მეთაურმა, შეხვედრები ბრიტანეთის დედაქალაქში. მუშაობის პირველ სამ დღეში დელეგაცია უკვე შეხვდა კონსერვატიული და ლეიბორისტული პარტიების წარმომადგენლებს, სამინისტროებისა და უწყებების, მათ შორის, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს, აგრეთვე ჟურნალისტებსა და საზოგადო მოღვაწეებს.

ვესტუმრება აზერბაიჯანული მუსიკა

4 თებერვალს, 16 საათზე დიდ საკონცერტო დარბაზში, პირველად თბილისში, კომპანია „ტრიო ხაუნჯი“ აწყობს აზერბაიჯანული მუსიკის საღამოს დევიზით: „ერთმანეთის სიყვარულით თავი უნდა გავიტანოთ!“.

ამ ღონისძიების გამართვის იდეა ეკუთვნის საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს.

კონცერტში მონაწილეობისათვის ქალაქ ბაქოდან მოწვეული არიან აზერბაიჯანის ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები — ფლორა ბიულ-ბიულ-ოღლი, ზეინაბ ხანლაროვა, ფარხად-ბადალ-ბეილი, ილჰამა ყულიევა, ბაბა მირზოევი, აზერბაიჯანის პრეზიდენტის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ საკითხებში, მწერალი ჰიდაედ ორუჯოვი.

კონცერტში მონაწილეობენ როგორც საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი ხელოვნების ოსტატები, ისე საქართველოს სახელმწიფო ანსამბლები და ცალკეული შემსრულებლები.

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება № 136

1996 წლის 31 იანვარი — ქ. თბილისი

„საქართველოს რესპუბლიკის საქენერგოს დეპარტამენტის სისტემაში მძიმე ფინანსური მდგომარეობის დაძლევის საგანგებო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 5 ოქტომბრის № 407 ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ძირითადად არგადახდებით შექმნილი მძიმე ფინანსური კრიზისის დასაძლევად ბოლო პერიოდში მიღებულ იქნა სამი ფუნდამენტური მნიშვნელობის დოკუმენტი — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 5 ივლისის № 268 და 5 ოქტომბრის № 407, საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 28 ნოემბრის № 1 ბრძანებულებები. მუშაობს საგანგებო ენერგეტიკული კომისია და მისი რეგიონალური ჯგუფები, მიღებულია და ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, თანხების ამოღებაში დაისახა გარკვეული ძვრები. ამასთან, მდგომარეობა კვლავ მეტად მძიმეა, განსაკუთრებით კი მიმდინარე ზამთრის პერიოდში, რადგანაც ელექტროენერგიის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხები მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფს თბილსრესისათვის საწვავის შეძენას და ჰიდროელექტროსადგურებში გაზაფხულის წყალდიდობის სეზონისათვის მზადების გადაუდებელ სამუშაოთა შესრულებას, რომ არაფერი ვთქვათ ხელფასის გაუცემლობასა და ათობით მილიონი ლარის გადაუხდელ ვალებზე.

ელექტროენერგია, მიუხედავად მისი სიძვირის, დეფიციტურობისა და უნიკალურობისა, ჯერ კიდევ სრულიად დაუცველი და საბაზრო ურთიერთობების მიღმა აღმოჩნდა. მისი ღირებულების უმეტესი ნაწილი კვლავ აუნაზღაურებელია მომხმარებლების, მათ შორის სახელმწიფო (საბიუჯეტო) ორგანიზაციების, აგრეთვე სხვა გადახდისუუნარიანი მომხმარებლების მხრიდანაც.

შექმნილი კრიზისული მდგომარეობის დაძლევის მიზნით და მისი განსაკუთრებული საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამო:

1. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულებმა, ქალაქების მერებმა და რაიონების გამგებლებმა ყოველთვიურად 5 რიცხვამდე ოფიციალურად წარმომიდგინონ ინფორმაცია ზემოთ ხსენებულ ბრძანებულებათა შესასრულებლად მათ მიერ გაწეული მუშაობისა და მისი კონკრეტული შედეგების შესახებ.

2. დადასტურდეს საგანგებო ენერგეტიკული კომისიის გადაწყვეტილება.

სახელმწიფო კომპანია საქენერგოს მიენიჭოს უფლება განახორციელოს იმ მუნიციპალური (რაიონული) ენერგოკომპანიების საქმიანობის პირდაპირი კონტროლი, რომლებიც არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს მიღებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურების, აღრიცხვის, განაწილებისა და მოხმარების, მათ შორის ლიმიტების დაცვის, ფასწარმოქმნის სფეროში.

3. საგანგებო ენერგეტიკულმა კომისიამ განსაკუთრებული კონტროლი დაუწესოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 5 ოქტომბრის № 407 ბრძანებულების მე-7 მუხლის „გ“ პუნქტის შესრულებას.

ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ბიუჯეტის შესრულების პროცესში საქართველოს ცალკეული მხარეების, ქალაქებისა და რაიონებისათვის ფინანსური დახმარების საკითხის გადაწყვეტისას პირველ რიგში განახორციელოს შესაბამისი მხარეების, ქალაქებისა და რაიონების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადაუხდელი ღირებულების შესაბამისი თანხების პირდაპირი გადარიცხვა უშუალოდ საქენერგოს ანგარიშზე.

4. ელექტროენერგეტიკაში მთელი საგანგებო პერიოდის განმავლობაში არ იქნეს გამოყენებული საქენერგოს კრედიტორების მიერ მის საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალებათა წარდგენის უფლება.

5. საქართველოში ელექტროენერგიის ბაზრის, მათ შორის ტარიფების სახელმწიფოებრივი რეგულირების ფუნქცია დაეკისროთ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, სათბობენერგეტიკის სახელმწიფო კორპორაციასა და სახელმწიფო კომპანია საქენერგოს, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროების მიერ განსაზღვრული წესით. ამასთან ფინანსური რესურსების მობილიზაციის, ელექტროენერგიის ღირებულების წინასწარი, სრული გარანტირებული ანაზღაურების სტიმულირების მიზნით დეპარტამენტ საქენერგოს მიეცეს უფლება ელექტროენერგიის ცალკეულ მომხმარებლებს თუ საბითუმო გადამყიდველებს დაუწესოს შეღავათიანი ტარიფები ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებთან შეთანხმებით.

6. ნება დაერთოს სახელმწიფო კომპანია საქენერგოს ჰუმანიტარული დახმარებით თბილსრესში შემოსული მაზუთის გამოყენებით მიღებული შემოსავლის (მოგების) თანხა მთლიანად მოახმაროს სათბობის შესაძენი სპეციალური მიზნობრივი ფონდის შექმნას.

7. მიმდინარე ზამთრის პერიოდში შექმნილ ექსტრემალურ პირობებში თბილსრესის მინიმალურად აუცილებელი დატვირთვით მუშაობისათვის საჭირო საწვავის შეძენისა და სხვა გადაუდებელი საჭიროებისათვის აუცილებელი თანხების აკუმულაციის მიზნით:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის მერიებმა, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულებმა, რაიონების გამგებლებმა 1996 წლის 5 თებერვლამდე უზრუნველყონ შესაბამისი ბიუჯეტებიდან და ენერგოკომპანიებიდან სახელმწიფო კომპანია საქენერგოს 1996 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული დებიტორული დავალიანების სულ ცოტა 10 პროცენტის გადახდა (დანართი 1).

ბ) საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტმა, სააქციო საზოგადოება „ქიმიურმა კომბინატმა“, ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანამ, კასპის ცემენტის ქარხანამ, ქუთაისის ავტოქარხანამ, მადნეულის სამთო მამდიდრებელმა კომბინატმა, გაერთიანება ჭიათურმანგანუმმა, ხაშურის მინის ტარის ქარხანამ, გორის გაერთიანება „ლაინმა“, თბილისის საავიაციო ქარხანამ, პურკომბინატებმა პირველ ეტაპზე — 1996 წლის 5 თებერვლამდე უზრუნველყონ სახელმწიფო კომპანია საქენერგოს ა. წ. 1 იანვრის მდგომარეობით არსებული დებიტორული დავალიანებების 25 პროცენტის, ხოლო მეორე ეტაპზე — 1996 წლის 25 თებერვლამდე კიდევ 25 პროცენტის გადახდა (დანართი 2).

8. დაევალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან, სათბობენერგეტიკის სახელმწიფო კორპორაციასა და საქენერგოს სახელმწიფო კომპანიასთან ერთად ერთი თვის ვადაში მოამზადოს შესაბამისი კანონებისა და ნორმატიული აქტების პროექტები, რომლებიც დაარეგულირებენ ელექტროენერგიის წარმოებას, გადაცემას, განაწილებასა და მოხმარებას.

9. ბრძანებულება სასწრაფოდ დაეგზავნოს რეგიონების, ქალაქების და რაიონების ხელმძღვანელებს და მისი შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო კანცელარიას.

ე. შევარდნაძე.

დანართი 1

დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის
1996 წლის 31 იანვრის № 136 ბრძანებულებით.

მიმდინარე ზამთრის პერიოდში თბილსრესის მინიმალური დატვირთვით მუშაობისათვის და სხვა გადაუდებელი საჭიროებისათვის აუცილებელი თანხები, რომლებიც უნდა ჩაირიცხოს „საქენერგოს“ ანგარიშზე (არსებული დავალიანების ნაწილობრივ დასაფარავად)

(ათასი ლარი)

რეგიონები, ქალაქები, რაიონები	დავალიანება 01.01.96 წლის მდგომარეობით	გადასახდელი თანხა 1 ეტაპზე, 1996 წ. 5 თებერვლამდე (10 %)
1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	6985,0	694,0
2. თბილისი	28704,0	2870,0
3. ქუთაისი	6387,0	639,0
4. რუსთავი	1514,0	151,0
5. ფოთი	1214,0	121,0
6. ზუგდიდის რაიონი	2197,0	220,0
7. წალენჯიხის —“—	978,0	97,0
8. ჩხოროწყუს —“—	383,0	38,0
9. სენაკის —“—	1821,0	182,0
10. მარტვილის —“—	728,0	73,0
11. აბაშის —“—	389,0	40,0
12. ხობის —“—	322,0	32,0
13. ლანჩხუთის —“—	345,0	35,0
14. ჩოხატაურის —“—	207,0	21,0
15. წყალტუბოს —“—	1544,0	154,0
16. სამტრედიის —“—	1822,0	182,0
17. ხონის —“—	926,0	83,0
18. ბაღდათის —“—	196,0	20,0
19. ტყიბულის —“—	1776,0	178,0
20. ვანის —“—	230,0	23,0
21. ზესტაფონის —“—	2539,0	254,0
22. თერჯოლის —“—	562,0	56,0
23. ხარაგაულის —“—	291,0	29,0
24. ჭიათურის —“—	529,0	53,0
25. საჩხერის —“—	384,0	38,0
26. ამბროლაურის —“—	382,0	38,0
27. ონის —“—	153,0	15,0
28. ახალციხის —“—	727,0	73,0
29. ახალქალაქის —“—	520,0	52,0
30. ადიგენის —“—	77,0	8,0
31. ასპინძის —“—	89,0	8,9
32. ნინოწმინდის —“—	176,0	18,0
33. ბორჯომის —“—	1177,0	118,0
34. გორის —“—	2756,0	276,0
35. ხაშურის —“—	1584,0	158,0
36. კასპის —“—	1823,0	182,0
37. ახალგორის —“—	142,0	14,0
38. ქარელის —“—	574,0	57,0
39. მცხეთის —“—	1980,0	198,0
40. დუშეთის —“—	1572,0	157,0
41. საგარეჯოს —“—	603,0	60,0
42. თიანეთის —“—	390,0	39,0
43. გარდაბნის —“—	2769,0	277,0
44. მარნეულის —“—	2164,0	216,0
45. ბოლნისის —“—	210,0	21,0
46. დმანისის —“—	188,0	19,0
47. წალკის —“—	483,0	48,0
48. თეთრიწყაროს —“—	288,0	29,0
49. გურჯაანის —“—	1048,0	105,0
50. სიღნაღის —“—	195,0	20,0
51. დედოფლისწყაროს —“—	294,0	29,0
52. თელავის —“—	733,0	73,0
53. ახმეტის —“—	345,0	35,0
54. ლაგოდეხის —“—	115,0	12,0
55. ყვარლის —“—	141,0	14,0

დანართი 2

დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის
1996 წლის 31 იანვრის № 136 ბრძანებულებით

მიმდინარე ზამთრის პერიოდში თბილსრესის მინიმალური დატვირთვით მუშაობისათვის და სხვა გადაუდებელი საჭიროებისათვის აუცილებელი თანხები, რომელიც უნდა ჩაირიცხოს „საქენერგოს“ ანგარიშზე (არსებული დავალიანების ნაწილობრივ დასაფარავად)

(ათასი ლარი)

საწარმოს დასახელება	დავალიანება 0.1.01.96 წ. მდგომარეობით	დავალიანების 50%-ით დაფარვისათვის	
		I ეტაპზე, 1996 წლის 5 თებერვლამდე (25 %)	II ეტაპზე, 1996 წლის 25 თებერვლამდე (25 %)
1. რუსთავის სააქციო საზოგადოება „ქიმიური კომბინატი“	2446,0	612,0	612,0
2. რკინიგზის დეპარტამენტი	2430,0	608,0	608,0
3. ზესტაფონის ფეროშენადნობების			
4. კასპის ცემენტის ქარხანა	341,0	85,0	85,0
5. ქუთაისის ავტოქარხანა	185,0	46,0	46,0
6. მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატი	426,0	107,0	107,0
7. ხაშურის მინისტარის ქარხანა	190,0	48,0	48,0
8. გორის გაერთიანება „ლაინი“	168,0	42,0	42,0
9. კაჭრეთის პურკომბინატი	83,0	21,0	21,0
10. თბილისის საავიაციო ქარხანა	123,0	31,0	31,0

ენერგეტიკა

თბილისს 28 მილიონი ლარი მართებს

დედაქალაქში ელექტროენერგიის მიწოდებასთან შექმნილ მძიმე მდგომარეობას უკიდურესად ართულებს მომხმარებელთა მიერ ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობა, ის, რომ ქალაქს ენერგეტიკოსებისა მართებს 28 მილიონი ლარი, — განაცხადა თბილისის მერმა ბადრი შოშიტაიშვილმა მერიაში გამართულ თათბირზე.

შეეხო რა მოცდენილ სამრეწველო საწარმოთა ამოქმედების საჭიროებას, მერმა მოსთხოვა გამგებლებს მოამზადონ მათდამი რწმუნებულ რაიონებში ასეთ საწარმოთა ნუსხები და მათი მუშაობის ოპტიმიზაციის კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა. თათბირზე დადებით მაგალითად დაასახელეს თბილისის საავიაციო გაერთიანების მუშაობა, რომელმაც, ძნელბედობის მიუხედავად, მაინც შეძლო შეენარჩუნებინა სიმძლავრეები და სამუშაო ადგილების ნაწილი.

თათბირზე შარშანდელი შედეგების შესახებ ანგარიშით წარდგა თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსი დემურ მიქაძე.

ნაბიჯი საერთაშორისო ინტეგრაციისაკენ

30 იანვარს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ჯორჯ ვებერმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების საერთაშორისო ფედერაციას შორის, საქართველოში წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების საერთაშორისო ფედერაციის დელეგაციის სამართლებრივი სტატუსის შესახებ.

ბატონმა ირაკლი მენაღარიშვილმა აღნიშნა, რომ ხელმოწერილი დოკუმენტი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო თანამეგობრობაში ინტეგრაციის გზაზე. ყველაზე მძიმე დროს, სამი წლის განმავლობაში ჰუმანიტარული ორგანიზაციის აქტივისტები გვერდით იდგნენ ჩვენს ხალხს.

მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველო სულ მალე გახდება ორგანიზაციის წევრი ქვეყანა.

სხვა გაზეთებიდან

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთში **ვაჟა ლორთქიფანიძე** უპასუხებს „სეგოდნიას“ მიმომხილველის **ლეონიდ ველეხოვის** კითხვებს:

აფხაზეთი რომ არ ყოფილიყო, არც ჩეჩნეთი იქნებოდა

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში ვაჟა ლორთქიფანიძე ორმოცდაექვსი წლისაა. განათლებით კიბერნეტიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატია, წარსულში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, თავისი ქვეყნის დიპლომატიურ მისიას მოსკოვში შარშანდელი იანვრის დამლევიდან მეთაურობს. მანამდე იყო ვიცე-პრემიერი, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. იგი თბილისში ედუარდ შევარდნაძის დაბრუნების პირველი დღიდანვე უახლოესი თანამშრომელია.

— როგორც გაზეთის მუშაკები ამბობენ ხოლმე, ჩვენი საუბრისათვის ინფორმაციული საბაბი რამდენიმეა: მოსკოვში გახსნილი დამოუკიდებელ სახელმწიფო მეთაურების სამიტი, რუსეთთან დიდი ხელშეკრულების რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტში, ტრადიციულად აქტუალური რუსეთის შუამავლობით ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების თემა... რით დავიწყოთ?

— ვფიქრობ, სჯობს დავიწყოთ რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობებით. ეს ის დომინანტია, რომელიც ყველა დანარჩენს განსაზღვრავს. მიმაჩნია, რომ დღეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა პრინციპულად ახალ ხასიათს იძენს. გადაიტანა რა რთული გამოცდა, იგი გავიდა კონსტრუქციული ურთიერთმოქმედების დონეზე. ის, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე საქართველო მკაფიოდ ლაპარაკობდა იმ იდეაზე, რომ საქართველოს რუსეთთან აკავშირებს სტრატეგიული ურთიერთობა, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი განსაზღვრებაა. ჩვენ ვამბობთ, რომ საჭიროა გაღრმავდეს ინტეგრაციული პროცესები, და თუ სამი-ოთხი წლის წინათ იგი ბევრ სირთულეს აწყდებოდა, დღეს ისინი უკვე აღარ არის და, ჩვენს წინაშე დგას ამოცანა უფრო დინამიკური გავხადოთ კონკრეტული მექანიზმები ამ მიზნის მისაღწევად. საქართველოსა და რუსეთის სტრატეგიული პარტნიორობის წინამძღვრების გათვალისწინებით, ვფიქრობ, უნდა განვიხილოთ ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის მოვლენებიც. მშვიდობა და სტაბილურობა კავკასიაში როგორც რუსეთის, ისე საქართველოს სტრატეგიული ინტერესებია. საქართველოც და რუსეთიც უნდა იყვნენ ერთიანი, განუყოფელი სახელმწიფოები. ირიბად ჩვენი ქვეყანა დაინტერესებულია იმით, რომ უაღრესად ზუსტად შეფასდეს სეპარატიზმი. ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიაში გამძვინვარებულ სეპარატიზმს შეუძლია საშიშროება მოუტანოს არა მარტო რუსეთს ან საქართველოს, არამედ მთელ ევროპასაც. როცა სამი წლის წინათ შევარდნაძე ამბობდა, რომ აფხაზეთის ნაპერწკლიდან შეიძლება დაიწყოს სეპარატიზმის დიდი ხანძარი, ეს ბევრმა რეალობად არ მიიჩნია. დღეს ეს ცხადი გახდა. რეალობად ქცეული ამ საშიშროების გაცნობიერება საფუძვლად უდევს საქართველოს ახლანდელი პარლამენტის გადაწყვეტილებას რუსეთ-საქართველოს დიდი ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ. ჩვენ ძალიან მოხარული ვიქნებით, თუ რუსეთის ახალი სახელმწიფო სათათბირო ანალოგიურ ნაბიჯს გადადგამს.

ეკონომიკურ ურთიერთმოქმედებაში უნდა ვეძებოთ ურთიერთობის ახალი მოდელები. რუსეთმა ცოტა ადრე, საქართველომ კი ოდნავ მოგვიანებით გაიარეს საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლის ძირითადი ეტაპები, და დღეს რესპუბლიკაში შეიმჩნევა სტაბილიზაციის პირველი ნიშნები ბევრი პარამეტრის მიხედვით. წარმოების მოცულობა გაიზარდა 20 პროცენტით, 40-ჯერ გადიდდა საქონელბრუნვა, დაახლოებით ამდენითვე — ბიუჯეტი. ეს კარგ წანამძღვრებს ქმნის ჩვენი ორმხრივი ურთიერთობის განვითარებისათვის. მოვიყვან ორ მაგალითს. საქართველოსთვის ურთულესი პრობლემაა ენერგეტიკა, და თუ ჩვენ მას გადავჭრით, ამუშავდება მრეწველობაც. ჩვენ წამოვაყენეთ წინადადება — გადავჭრათ იგი რუს კოლეგებთან ერთად. „როსენერგომ“ და „საქენერგომ“ შარშან ივნისში შექმნეს ახალი სააქციო საზოგადოება. „საქენერგომ“ ძალიან აქტიურად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს სასარგებლო იქნება ორივე მხარისათვის — იმისთვისაც, ვინც ამ საქმეში დღეს ფულს აბანდებს და იმისთვისაც, ვინც მასში მონაწილეობს თავისი ძირითადი ფონდებით. მეორე მაგალითი — ჩვენი თანამშრომლობა რუსეთის კომპანია „მიკროდინ-თან“ იგი დაინტერესდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანით და ჭიათურის „ჭიათურმანგანუმის“ კომპლექსით. მან ათი წლით აიღო ზესტაფონის ქარხანა იჯარით. და თავის გამგებლობაში, დარწმუნებული ვარ, რომ ამ თანამშრომლობით მოგებული დარჩება „მიკროდინიც“, ქარხანაც, ქალაქი ზესტაფონიც და მთლიანად რესპუბლიკაც. ამ კონტრაქტს ხელი მოვაწერეთ ედუარდ შევარდნაძის უშუალო მხარდაჭერით, რომელიც თანამშრომლობის ასეთი ფორმების მომხრეა.

დიდი სჯა-ბაასია ამჟამად ნავთობსადენის გარშემო, მაგრამ, სამწუხაროდ, უფრო ხშირად კომენტატორები ცდილობენ ერთმანეთს დაუპირისპირონ საქართველო და რუსეთი. მე კი მიმაჩნია, რომ მიღებული გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ნავთობსადენი გაივლის ნოვოროსიისკსა და საქართველოს ტერიტორიას, რუსეთისა და საქართველოს თანამშრომლობის კარგი მაგალითია.

ამავე დროს ჩვენ ჯერ კიდევ ბოლომდე უნდა აღმოვფხვრათ ძველი ვალების გაანგარიშების სინდრომი თანასწორუფლებიანი და სრულფასოვანი თანამშრომლობის საფუძველზე, რაც ჯერ კიდევ ძლიერია რუსეთის ბევრ სამინისტროსა და უწყებაში. უნდა განვავითაროთ სტრატეგიული თანამშრომლობა, ინტეგრაციული პროცესები.

— არსებობს თუ არა ფაქტორები, რომლებიც ართულებს პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობას?

— ვფიქრობ, რომ არ არსებობს. თუმცა, რა თქმა უნდა, მათი გაჩენა შესაძლებელია, თუ პირადი, კერძო, ჯგუფური, პარტიული, ანდა, თუ გნებავთ, ვიწრო გაგებული ეკონომიკური ინტერესები გაიმარჯვებენ რუსეთისა და საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებზე. სამწუხაროდ, ყოველთვის როდი ვართ ამისაგან დაზღვეული.

— თქვენ ხშირად იყენებთ ტერმინს „სტრატეგიული პარტნიორობა“, რომელიც ბევრს გვავალებს. შარშან შემოდგომაზე ბორის ელცინმა პირველად გამოთქვა, შემდეგ კი რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა განავითარა აზრი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შესახებ, რაც თავისებური საპასუხო ღონისძიება უნდა გახდეს ნატოს გაფართოების კვალობაზე. გულახდილად უნდა ითქვას, რომ ამ აზრს ფართოდ არ დაუჭირეს მხარი იმათ, ვისი მისამართითაც იყო იგი გამოთქმული. მხოლოდ ბელარუსის პრეზიდენტმა ლუკაშენკომ დაუყოვნებლივ მოიწონა იგი, დანარჩენებმა კი ნეგატიური რეაქცია მოახდინეს. თუ არ ვცდები, ედუარდ შევარდნაძემაც დუმილი ამჯობინა. არის კი საქართველო მზად რუსეთთან სტრატეგიული კავშირისათვის, ამ სიტყვის სრული გაგებით, ანუ სამხედრო-პოლიტიკური კავშირისათვის?

— ეს უაღრესად რთული კითხვაა, რომელზეც პასუხი უნდა ვეძებოთ ჩვენი საუბრის დასაწყისში. თუ ჩვენ შევძლებთ მოვაგვაროთ სტრატეგიული თანამშრომლობა და გადავწყვიტოთ საინტეგრაციო საკითხები ორმხრივ ხელსაყრელი პირობებით, ურთიერთპატივისცემის პრინციპებით და, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემით, მაშინ, ვფიქრობთ, რომ შეიძლება განვიხილოთ საკითხი სამხედრო კავშირის შესახებ. რა თქმა უნდა, სტრატეგიული თანამშრომლობა არ გამორიცხავს ერთობლივი სამხედრო სივრცის შექმნას.

(დასასრული მე-2 გვ.).

პრესკონფერენცია

პურის ფასი გაიზრდება, მოსახლეობა სოციალურად დაცული იქნება

15 თებერვლიდან პურის ფასი ორმოცი პროცენტით გაიზრდება, ანუ საშუალოდ კილოგრამზე 12 თეთრით, ითქვა პრეზიდენტის პრესსამსახურის მიერ 1 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ მინისტრები ვლადიმერ პაპავა, დავით იაკობიძე, ბაკურ გულუა და თენგიზ გაზდელიანი.

— იმის გამო, რომ მსოფლიო ბაზარზე ერთი ტონა ხორბლის ფასმა შარშანდელთან შედარებით საშუალოდ 65 დოლარით მოიმატა, იძულებული გავხდით, ეს ნაბიჯი გადაგვედგა, — განაცხადა ვლადიმერ პაპავამ.

პურის გაძვირება, თენგიზ გაზდელიანის აზრით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით, პირველი თებერვლიდან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ქვეყნის მთავრობის წევრთა საერთო შეთანხმებით, ეს ღონისძიება 15 თებერვლიდან განხორციელდება. სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრმა აღნიშნა, რომ პურის გაძვირებასთან დაკავშირებით მოსახლეობას ხელფასების თანრიგების გათვალისწინებით მიეცემა შესაბამისი კომპენსაცია — 1 ლარიდან 1,5 ლარის ოდენობით და აღნიშნული კომპენსაცია არ დაიბეგრება.

მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ასეთი მკვეთრი გაძვირება ბატონმა ბაკურ გულუამ იმით ახსნა, რომ ხორბლის მწარმოებელი სახელმწიფოების უმრავლესობამ ბიუჯეტის კრიზისის გამო შეწყვიტა საკუთარ ფერმერთა სუბსიდირება. მოსალოდნელია ამ პროდუქტის ფასმა კვლავაც მოიმატოს, მაგრამ ეს წლის პირველ ნახევარში არ მოხდება.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, პურის გაძვირება ხომ არ გამოიწვევს ფასების ზრდას სხვა პროდუქტებზე და, აქედან გამომდინარე, ლარის კურსის დაცემას დოლართან შედარებით, ეკონომიკის მინისტრმა უპასუხა, რომ ლარის კურსს არავითარი საშიშროება არ ელის, რადგან ფასებისა და ხელფასების მომატება სრული ბალანსით განხორციელდება. ბატონმა ვლადიმერ პაპავამ აგრეთვე აღნიშნა, რომ დღის წესრიგში დგას პურპროდუქტების კორპორაციის რეორგანიზაცია, პერსპექტივაში მისი პრივატიზაცია, რის შედეგად პურზე თავისუფალი ფასები დაწესდება. ეს შეიძლება წლევანდელი ზაფხულიდან დაიწყოს, მანამდე კი არანაირ მნიშვნელოვან ცვლილებებს არ ვაპირებთ, თქვა მან.

თუკი გასულ წლებში საქართველოში ხორბალი ნაწილობრივ ჰუმანური დახმარების სახით შემოდიოდა, მომავალში ასეთი შემოწირულობები მნიშვნელოვნად შემცირდება და თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბებისათვის, ორიენტაცია პურზე ფასების გათავისუფლებისათვის გამართლებულია. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს ყოველთვის ექნება გარკვეული კონტროლი პურის ფასზე, ხაზგასმით აღინიშნა პრესკონფერენციაზე.

გიორგი აგაშიძე,
საქინფორმის კორ.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება № 133

1996 წლის 30 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოში ნავთობის მოპოვებასთან, ტრანსპორტირებასთან, გადამუშავებასა და მის რეალიზაციასთან დაკავშირებული ექსპერტიზის დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოსათვის ნავთობმრეწველობისა და მისი განვითარების სტრატეგიული მნიშვნელობის გამო, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ამჟამად გაფორმებულ და მოსალოდნელ ხელშეკრულებებში საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის მიზნით:

1. საქართველოს პრეზიდენტთან შეიქმნას ნავთობის მოპოვებასთან, ტრანსპორტირებასთან, გადამუშავებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების ექსპერტიზის დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ნიკო ლეკიშვილი — კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი;

გიორგი ჭანტურია — კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებული, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი;

თეიმურაზ ბასილია — საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეკონომიკური რეფორმების საკითხებში;

თევდორე ნინიძე — საქართველოს იუსტიციის მინისტრი;

ავთანდილ სილაგაძე — საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი;

ვლადიმერ პაპავა — საქართველოს ეკონომიკის მინისტრი;

დავით იაკობიძე — საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

აკაკი ჩხაიძე — საქართველოს ტრანსპორტის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე;

კონსტანტინე ზალდასტანიშვილი — საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრი;

ნინო ჩხობაძე — საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი;

დავით ზუბიტაშვილი — საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სახელმწიფო კორპორაციის პრეზიდენტი;

რევაზ თევზაძე — საქნავთობის სახელმწიფო კომპანიის თავმჯდომარე.

2. დაევალოს დროებით კომისიას საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის მიზნით შეისწავლოს და გააანალიზოს ნავთობმრეწველობის სფეროში ამჟამად მოქმედი და დამუშავების სტადიაში მყოფი ყველა ხელშეკრულება.

3. აღნიშნულ სამუშაოში მონაწილეობის მისაღებად მიზანშეწონილად ჩაითვალოს დროებით კომისიასთან თანამშრომლობისათვის მსოფლიო ბანკის, ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმის, საერთაშორისო აუდიტორული ფირმების ექსპერტთა მოწვევა.

4. დაევალოთ შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებს უზრუნველყონ დროებითი კომისიის მუშაობა მისთვის აუცილებელი მასალებითა და ინფორმაციით.

5. დაევალოს დროებით კომისიას მოამზადოს მოხსენებითი ბარათი არსებული მდგომარეობის შესახებ და წარმომიდგინოს იგი რეაგირებისათვის.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება № 142

1996 წლის 1 თებერვალი, ქ. თბილისი

კანონიერების, მართლწესრიგის განმტკიცებისა და სამხედრო ძალებში წვევამდელთა გასაწვევად 1995 წელს განხორციელებული მუშაობის შედეგებისა და 1996 წლის ამოცანების შესახებ

საქართველოს სამართალდამცავი და უშიშროების ორგანოების მიერ მმართველობის სამხარეო და ადგილობრივი ორგანოების მხარდაჭერით 1995 წლის განმავლობაში მიღწეულია გარკვეული დადებითი შედეგები. ქვეყანაში შეინიშნება კრიმინალური მდგომარეობის სტაბილიზაცია, საგრძნობლად იკლო დანაშაულმა.

1996 წლის 27 იანვარს საქართველოს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე ქვეყანაში კანონიერების, მართლწესრიგის განმტკიცების, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის, ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით, 1995 წელს გაწეული მუშაობის, აგრეთვე, 1995 წელს საქართველოს სამხედრო ძალებში წვევამდელთა გაწვევის შედეგების განხილვისას, გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირების მიზნით:

1. საქართველოს პროკურატურამ (ჯ. ბაბილაშვილი), საქართველოს შინაგან საქმეთა (კ. თარგამაძე), სახელმწიფო უშიშროების (შ. კვირაია) და იუსტიციის (თ. ნინიძე), სამინისტროებმა 1996 წლის 10 თებერვლამდე კოლეგიის სპეციალურ სხდომებზე განიხილონ საქართველოს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები, დასახონ მათზე ოპერატიული რეაგირების ღონისძიებები, შეიმუშაონ და დაამტკიცონ ქვეყანაში მართლწესრიგის, კანონიერების განმტკიცებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ღონისძიებათა 1996 წლის კონკრეტული გეგმები.

1996 წელს უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კორუფციის, ტერორიზმის, რეკეტისა და სხვა სახის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს.

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს პროკურატურასთან, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების, ჯანმრთელობის დაცვის (ა. ჯორბენაძე), იუსტიციისა და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და ეროვნული უშიშროების საბჭოზე განსახილველად წარმოადგინოს საქართველოში ნარკომანიის გავრცელებისა და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ხმარების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის კ. თარგამაძისა და საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ა. ჯორბენაძის თავმჯდომარეობით შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც გააკონტროლებს საქართველოში ნარკომანიის გავრცელებისა და ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ხმარების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის განხორციელებას.

3. საქართველოს განათლების სამინისტრომ (თ. კვაჭანტირაძე) შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაონ და 1996 წლის 1 მარტამდე დასამტკიცებლად წარმომიდგინონ არასრულწლოვან, განსაკუთრებით, უმეთვალყურეოდ დარჩენილ მოზარდებთან მუშაობისა და მათი დასაქმების სპეციალური პროგრამა.

4. საქართველოს კონტროლის პალატამ (რ. შავიშვილი), საქართველოს პროკურატურამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან ერთად შეისწავლონ საზღვარგარეთის ქვეყნებში ჯართის უკანონო გატანის საკითხი და 1996 წლის 20 მარტამდე წარმოადგინონ სათანადო დასკვნა.

5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1996 წლის 1 მარტამდე შეიმუშაოს რეგისტრირებულ სისხლის სამართლის დანაშაულობათა აღრიცხვისა და მოძრაობის უწყებათაშორისი კონტროლის სისტემა.

6. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და საქართველოს პროკურატურასთან ერთად, ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და ეროვნული უშიშროების საბჭოს განსახილველად წარუდგინოს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში საზღვარგარეთის, პირველ რიგში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან თანამშრომლობის სახელმწიფო პროგრამა.

7. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს პროკურატურამ, უშიშროების სამინისტრომ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათშორის ურთიერთობათა კომიტეტის მონაწილეობით განიხილონ „ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მოთხოვნათა შესრულების მიმდინარეობა და განახორციელონ ამასთან დაკავშირებული პრაქტიკული ღონისძიებანი.

— გაწეული მუშაობის შესახებ წარმოადგინონ ინფორმაციები ეროვნული უშიშროების საბჭოში 1996 წლის 6 თვის შედეგების მიხედვით,

8. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა (ა. სიხარულიძე), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ საკითხებზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობის გაუმჯობესების სპეციალურ ღონისძიებათა გეგმა.

9. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (ვ. ნადიბაიძე), იუსტიციის, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროებთან და სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტთან (ვ. ჩხეიძე) ერთად ერთი თვის ვადაში მოამზადოს და საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარუდგინოს საქართველოს ახალი კანონპროექტი „სამხედრო ვალდებულების შესახებ“.

10. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ:

— 1996 წლის თებერვლის ბოლომდე ქალაქების მერებთან, რაიონებისა და ქალაქების გამგეობათა თავმჯდომარეებთან, რაიონებისა და ქალაქების სამხედრო კომისრებთან, გამწვევი სამედიცინო კომისიის წევრებთან ერთად განიხილოს 1996 წელს სამხედრო ძალების რიგებში წვევამდელთა გაწვევის საკითხი.

— მოამზადოს და ერთი თვის ვადაში წარმომიდგინოს წინადადებები რესპუბლიკური მიმღებ-გამანაწილებელი პუნქტის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე მუშაობის უზრუნველყოფისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შესახებ.

11. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროებთან, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტთან შეთანხმებით, 1996 წლის 5 მარტამდე წარმომიდგინონ დასამტკიცებლად განაცხადი 1996 წელს საქართველოს სამხედრო ძალებში გასაწვევ წვევამდელთა რაოდენობის შესახებ.

12. მხარეების სახელმწიფო რწმუნებულებმა, ქალაქების მერიებმა, რაიონებისა და ქალაქების გამგეობებმა;

— თავიანთ ბიუჯეტებში გაითვალისწინონ სათანადო სახსრების გამოყოფა სამხედრო ძალებში წვევამდელთა გაწვევის ორგანიზებულად მოწყობის მიზნით;

— გაწვევის უკეთ მოწყობისათვის უზრუნველყონ სამხედრო კომისარიატები შესაბამისი შენობებით, სამედიცინო კომისიებისათვის საჭირო ინვენტარით, სატრანსპორტო საშუალებებითა და საწვავ-საპოხი მასალებით;

— შექმნან სპეციალური ჯგუფები, ქალაქის მერის, რაიონისა და ქალაქის გამგეობის თავმჯდომარის მეთაურობით, რომლებიც გაწვევის პერიოდში, კონტროლს დაუწესებენ სამხედრო ძალებში გაწვევასთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებათა და განკარგულებათა შესრულების მიმდინარეობას.

13. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს ქალაქებისა და რაიონების გამწვევი სამედიცინო კომისიების დაკომპლექტება მაღალკვალიფიციური ექიმ-სპეციალისტებით, მეტი ყურადღება დაუთმოს წვევამდელი ახალგაზრდების დისპანსერულ გამოკვლევას, გააძლიეროს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების კონტროლი.

14. საქართველოს მხარეების, ქალაქებისა და რაიონების სამართალდამცავმა ორგანოებმა უზრუნველყონ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული ზომების განხორციელება იმ წვევამდელთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ სავალდებულო სამხედრო გაწვევას.

15. საქართველოს სამინისტროებმა, უწყებებმა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა, საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა, გააძლიერონ ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდა, ჩაუნერგონ იმის შეგნება, რომ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია.

16. წინადადება მიეცეთ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციას (ა. გოგელია) აქტიურად გააშუქონ საქართველოს არმიის მშენებლობისა და წვევამდელთა სამხედრო ძალებში გაწვევის მიმდინარეობის საკითხები.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის
ბრძანება

თბილისის ისნის რაიონში მოსახლეობისათვის საპრივატიზაციო ბარათების გაცემის დროებით შეჩერების შესახებ

თბილისის ისნის რაიონის „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ფილიალიდან ყაჩაღური თავდასხმის შედეგად გაიტაცეს საპრივატიზაციო ბარათები. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

მიღებულ იქნეს სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული საპრივატიზაციო ბარათების სისტემის სამოქმედოდ შემოღების აღმასრულებელი სამსახურის წინადადება და თბილისის ისნის რაიონში მოსახლეობისათვის საპრივატიზაციო ბარათების გაცემა შეჩერდეს 1996 წლის 10 თებერვლამდე.

ნ. ლეკიშვილი.

თბილისი, 1996 წლის 26 იანვარი.

რუსეთის პრესის სარკეში

რაც კარგია შევარდნაძისათვის, რუსეთისთვისაც კარგია?

საზოგადოებრიობა ბარსუკოვს შოვინისტად თვლის

როგორ ჩაძირა ადმირალმა საკუთარი თავი

„მოსკოვსკაია პრავდას“ დანართში „მოია გაზეტა“ (რომელსაც ანდრონიკ მიგრანიანი სცემს) გაანალიზებულია დსთ-ს ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს საქმიანობა. ექსპერტს მიაჩნია, რომ დსთ-ს რეინტეგრაცია მოელის. ამის მიზეზებს იმაში ხედავს, რომ უზბეკისტანი, უკრაინა და ყირგიზეთი განვითარების საკუთარ გზებს ეძებენ; რუსეთი, ბელარუსი და ყაზახსტანი ლიდერობას ესწრაფვიან; თურქმენეთი და მოლდოვა თავს არიდებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროცესს, სხვა სახელმწიფოები კი, **საქართველოს ჩათვლით, ცდილობენ თანამეგობრობის ხარჯზე საკუთარი პრობლემების გადაწყვეტას.**

ამგვარი უაპელაციო განცხადების შემდეგ მე სიამოვნებით დავიმოწმებ „პრავდას“, რომელიც აყენებს კითხვას: „ვიცხოვროთ ამ წესით: რაც კარგია შევარდნაძისათვის, რუსეთისთვისაც კარგია?“ კითხვა, რა თქმა უნდა, რიტორიკული არ არის. და ბოროტი ჟურნალისტური ირონია სივრცეში არ რჩება გამოკიდებული. ასე ითესება ღვარძლი, რომელიც, როგორც ცნობილია, შემდეგ ძნელად გამოირჩევა მარცვლისაგან. მაგალითად, **„ნეზავისიმაია გაზეტა“** თვლის, რომ „პრეზიდენტებმა ვერ გადაწყვიტეს აფხაზეთის საკითხი“. თუმცა, იქვე გვაცნობებს, რომ თანამეგობრობის ქვეყნები მზად არიან, გამოყონ თავისი კონტინგენტები **„სამოქალაქო პოლიციელებად გამოყენებისათვის“**. ჟურნალისტთა ეჭვი უმთავრესად იმას ემყარება, რომ **„რუსეთს ამჟამად არც ძალა აქვს და არც სახსრები მასშტაბური შეიარაღებული ჩარევისათვის“.**

გაზეთი **„სეგოდნია“** ცდილობს, წერტილი დაუსვას კითხვას და შეკითხვით მიმართავს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ვაჟა ლორთქიფანიძეს. განმარტება ასეთია: **„ადგილი არა აქვს აფხაზეთის არავითარ ბლოკადას. არსებობს საქართველოს სახელმწიფო და გარედან ყველა ურთიერთობა მის რეგიონებთან ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით უნდა ხდებოდეს.**

ЕЖЕНЕДЕЛЬНАЯ ГАЗЕТА

რუსეთის გაზეთები აქტიურად განიხილავენ გენერალ ბარსუკოვის განცხადებას, ყველა ჩეჩენი ქურდი და ბანდიტიაო. **„ნეზავისიმაია გაზეტამ“** გამოაქვეყნა „ევრეისკაია გაზეტას“ რედაქტორის ღია წერილი პრეზიდენტ ელცინისადმი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: **„ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში მას დაითხოვდნენ ან აიძულებდნენ ბოდიში მოეხადა არა მარტო ჩეჩნების, არამედ ქვეყანაში მცხოვრები ყველა ხალხისა და ეროვნების წინაშე“.**

ამასთან ერთად, **„როსიისკაია გაზეტას“** მიაჩნია, რომ **„მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში ნავთობის დიდი მარაგის ათვისებას, როგორც წესი, თან სდევს სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტები სახელმწიფოთა შორის, რომელთა ზურგს უკან ნავთობის კორპორაციები დგანან. ეს კანონზომიერება მოქმედებს დსთ-ს კასპიისპირა რეგიონშიც, სადაც ჩეჩნეთი მდებარეობს“.** მაშ ასე, ნავთობის ინტერესების „ეპიცენტრი“ ომის „ეპიცენტრად“ იქცა, როგორც კი გაჩნდა ნავთობის ტრანზიტის ალტერნატივა, რუსეთის მომიჯნავე ქვეყნებზე გავლით. რუსეთის ტრანზიტი 70-პროცენტიანი დატვირთვით ყოველწლიურად დაახლოებით 6 მილიარდ დოლარს მოიტანს. ხოლო თუ ყაზახსტანის და აზერბაიჯანის ნავთობის საერთო მოცულობის 70 პროცენტის ტრანსპორტირება საქართველო-თურქეთის მარშრუტით მოხდება, თურქეთის შემოსავალი 1,1 მლრდ დოლარი იქნება, საქართველოსი კი — 1,2 მლრდ. დოლარი. მაშ, როგორც იტყვიან, ღირს „ეროვნულ განმათავისუფლებელი“ ომობანას თამაში.

„ნეზავისიმაია გაზეტა“ განიხილავს შავი ზღვის ფლოტის გაყოფის პრობლემას და მოჰყავს ადმირალ ბალტინის გამონათქვამი, რომ **„საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეც ოღონდაც რომ უარს არ იტყვის უსარდლოს შავი ზღვის ფლოტს ელცინისა და კუჩმას თანაბრად“.** არ ვიცი, რამდენად „თანაბრად“, მაგრამ თუ საქართველოს აქვს ზღვა და, სავარაუდოდ, ფლოტიც ეყოლება, სარდლობას რაღა შეუშლის? პირიქით. მაგრამ ადმირალს უბრალოდ არ უნდა გამოეთხოვოს საყვარელ სათამაშოებს და ამის გამო, აკრიტიკებს საკუთარ მთავრობას. ის ისეთ ბლოკშიც კი შევიდა, რომელიც აშკარად ოპოზიციაშია სახელმწიფოს ხელმძღვანელობისადმი. „შავი ზღვის ფლოტი რუსეთის პოლიტიკის მძლავრი იარაღია“ — ხაზგასმით აღნიშნავს ადმირალი, და, გასაგებია, რომ ასეთ იარაღთან გამოთხოვება ძნელია, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ბალტინის გადადგომის საბაბი. არაოფიციალური წყაროების თანახმად, პოლიტიზირებული ადმირალი უკვე არც რუსეთს სჭირდება, არც უკრაინას და არც სამხედრო-საზღვაო შტაბს.

„მოსკოვსკაია პრავდა“ ინფორმაციას აწვდის თავის მკითხველებს, რომ საგადასახადო პოლიციის მუშაობის აქტივიზაციის შედეგად ქალაქის ბიუჯეტში ერთი წლის მანძილზე ჩაირიცხა გადასახადისაგან უკანონოდ დამალული ერთი ტრილიონ ასი მილიარდი რუბლი. გამოვლენილია დატაცებისა და გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების ბევრი ახალი ხერხი. გაიზარდა გადასახადის გადახდისაგან თავის ამრიდებელთა წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა, განსაკუთრებით, კომერციული ბანკების მიმართ, რომელთაგან ბევრს მოუწია სახელმწიფო ხაზინისათვის გადამალული ასობით მილიონ დოლართან გამოთხოვება. მაგრამ, თვით საგადასახადო პოლიციის ინსპექტორებს ხშირად უხელფასოდ ყოფნა უწევთ, ვინაიდან, მათი დეპარტამენტის სალარო ცარიელია.

„პრავდამ“ კვლავ მოწყალებით გადმოხედა საქართველოს, მაგრამ ამჯერად რაიმე გამოხდომების გარეშე. ის გვამცნობს, რომ ერნსტ ნეიზვესტნი შეუდგა ქართველი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის ქანდაკების შექმნას და თავის მხრივ, დაამატა: „დიდ ადამიანთა სახება — მძიმე შრომაა მოქანდაკეთათვის“. იმაზე, რომ „დიდი ადამიანი“ დიდად არ სწყალობდა ლენინელებს, ბოლშევიკური გაზეთი მორიდებულად გაჩუმდა.

იური მოსეშვილი.

დასასრული

აფხაზეთი რომ არ ყოფილიყო, არც ჩეჩნეთი იქნებოდა

ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას მისცემს თითოეულ მხარეს ასეთი კავშირი, რამდენად უზრუნველყოფს იგი უშიშროებასა და ტერიტორიულ მთლიანობას.

კონფლიქტი, როგორც გვახსოვს, გაღვივდა რუსეთის აქტიური მონაწილეობით, ყოველ შემთხვევაში, მისი არაოფიციალური წრეებისა მაინც. დღეს ამის უარყოფა არავის არ შეუძლია, თუმცა, თავის დროზე უარყოფდნენ კიდეც. ჰოდა, ამიტომ, ბუნებრივია, ვამბობთ, რომ კონფლიქტის მოწესრიგება რუსეთის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. ამჟამად რუსეთი — ჩვენ ამას მადლიერებით აღვნიშნავთ — აქტიურად მონაწილეობს კონფლიქტის მოწესრიგებაში, როგორც შუამავალი. საქართველო არ გამორიცხავს კომპრომისს: როგორც იცით, ჩვენ განვაცხადეთ, რომ მზად ვართ განვიხილოთ საკითხი ერთიანი უნიტარული სახელმწიფოს ერთიან ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნის შესახებ და მივანიჭოთ აფხაზეთს საქართველოს შემადგენლობაში ძალზე ფართო პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებამოსილებანი. ეს წინადადებები ჩამოვაყალიბეთ შარშან მარტში, და მათ მთლიანად იზიარებენ როგორც რუსეთის მხარე, ისე საერთაშორისო ექსპერტები. არის ასეთი საყოველთაო აზრი: უფლებები, რომლებიც მზად ვართ მივანიჭოთ აფხაზეთს, გაცილებით აღემატება იმას, რომლითაც, ვთქვათ, რუსეთში სარგებლობს თათრეთი. ამის იქით წასვლა ჩვენ არ შეგვიძლია. ამის იქით უკვე არის კონფედერაცია, იმის აღიარება, რომ აფხაზეთი ცალკე სახელმწიფოა, ხოლო საქართველო კი — ცალკე, ჰოდა, ახლა ისინი ერთმანეთს შორის დებენ ხელშეკრულებას. ეს ისტორიული უსამართლობა იქნებოდა, რადგან სულ ცოტა ორი ათასწლეულის განმავლობაში ჩვენ ვცხოვრობთ ერთიან სახელმწიფოში. ჩვენი მეორე მოთხოვნა, ურომლისოდაც შეუძლებელია კონფლიქტის მოწესრიგება, არის ლტოლვილთა უპირობო და რაც შეიძლება სწრაფი დაბრუნება. მსოფლიო გაერთიანებამ აღიარა, რომ აფხაზეთში განხორციელდა ეთნიკური წმენდა ქართველთა მიმართ. 300 ათასზე მეტი ლტოლვილი — მთელი აფხაზეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი — ამჟამად გამოდევნილია აფხაზეთიდან და ცხოვრობს უაღრესად მძიმე პირობებში, უსახლკაროდ, საარსებო სახსრების გარეშე. სამწუხაროდ, მოლაპარაკებას როგორც პირველი, ისე მეორე საკითხის თაობაზე, სავსებით აშკარად და ცინიკურად აჭიანურებს და საბოტაჟს უწევს აფხაზური მხარე. და ეს მხოლოდ ჩემი აზრი როდია. ჩვენ მხარს ვუჭერთ კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას. ვილაშქრებთ ძალადობისა და შეიარაღებული ჩარევის წინააღმდეგ, მაგრამ როცა ერთ-ერთი მხარე აშკარად ეწინააღმდეგება ყოველივე ამას, მაშინ, როგორც ჩანს, შეიძლება ზემოქმედების განსაკუთრებულ ხერხებსაც მივმართოთ. ეს ეხება პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროს, მაგრამ არა სამხედრო სფეროს, ამას ხაზგასმით ვამბობ. ჩვენ ვთხოვთ რუსეთსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებს, განსაზღვრონ თავიანთი პოზიცია ამ თვალსაზრისით, სეპარატიზმს დაარქვან სეპარატიზმი და განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებანი. შარშან თებერვალში ხომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურებმა სეპარატიზმთან დაკავშირებით განაცხადეს, რომ სეპარატისტულ რეჟიმებთან არ შეიძლება პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება. ჰოდა, ჩვენც ვთავაზობთ მათ განახორციელონ ეს დეკლარაცია, კონკრეტულად გამოხატონ თავიანთი პოზიცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის თაობაზე, გაარკვიონ, თუ ვინ არის დამნაშავე. აქ პრინციპული მიდგომაა საჭირო.

— კეთილი, მაგრამ თქვენ ხომ გაინტერესებთ არა რიტორიკული დეკლარაციები, არამედ ზემოქმედების კონკრეტული ღონისძიებანი. თქვენი აზრით, როგორი შეიძლება იყოს იგი? თქვენ აფხაზეთის ეკონომიკური ბლოკადა გსურთ?

— არა, ბლოკადა არა. არის რუსეთის სახელმწიფო და საქართველოს სახელმწიფო. აფხაზეთის სახელმწიფო არ არსებობს. მასთან არ არის საჭირო თანამშრომლობა. მთელი ეკონომიკური ურთიერთობა, მათ შორის ჰუმანიტარულიც, აფხაზეთთან შეიძლება წარიმართოს მხოლოდ საქართველოს მეშვეობით.

— დღეს რა ფორმებით ხორციელდება რუსეთისა და აფხაზეთის ეკონომიკური თანამშრომლობა?

— ეს მოიცავს როგორც ბანკებში გახსნილ ანგარიშებს, კომერციული სტრუქტურების ხელშეწყობასა და სოხუმის ნავსადგურის ფუნქციონირების საქმეში დახმარებას, ისე ცალკეულ პირთა მხარდაჭერას, იქნებიან ისინი იურიდიული თუ ფიზიკური პირები. იქმნება ურთიერთობის საკმაოდ ფართო სპექტრი, რომელიც, როგორც ვფიქრობ, უნდა აღიკვეთოს. განა ნორმალურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს აფხაზეთის წარმომადგენლობის არსებობა რუსეთში. თუ რუსეთი არ ცნობს აფხაზეთს როგორც სახელმწიფოს, მაშინ როგორ უნდა მოქმედებდეს ასეთი წარმომადგენლობა?

— მაგრამ, ამ წარმომადგენლობას ხომ არა აქვს დიპლომატიური სტატუსი...

— და მაინც, იგი თავის საქმეს აკეთებს. ვის ინტერესებს წარმოადგენს იგი? აფხაზებისას? ის, რაც ამჟამად ხდება აფხაზეთში, ეკონომიკური კატასტროფაა. საქართველოს ამში ბრალი არ მიუძღვის. საზღვარი ფსოუზე ჩვენ არ გადაგვიკეტავს, ეს არასდროს არ მოგვითხოვია, საზღვარი გადაიკეტა ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენების გამო. მაგრამ ამ კატასტროფის მიზეზი მარტო საზღვრის დახურვა როდი გახდა. მისი მიზეზია ისიც, რომ აფხაზეთში არ არის სამუშაო ძალა, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იმყოფება. იქ არ არის ენერგეტიკა, ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებები. როგორ უნდა იცხოვროს ასე რესპუბლიკამ? ვის ეკუთვნის იგი? აფხაზ ხალხს? დარწმუნებული ვარ, რომ არა. დღეს იგი ეკუთვნის კრიმინალურ ელემენტებს.

— გაგებით ეკიდებიან თქვენს პრეტენზიებს მოსკოვში და არსებობენ თუ არა აქ ჯერ კიდევ ისეთი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალები, რომლებიც თქვენ ხელს გიშლიან?

— უკანასკნელი თვეების განმავლობაში რუსეთში, ვხედავ, რომ მთლიანად გაგებით ეკიდებიან ჩვენს მდგომარეობას, მაგრამ აქ, რუსეთში არიან ისეთი ძალები, რომლებიც მხარს უჭერენ აფხაზ სეპარატისტებს და ეს სავსებით აშკარაა. ამავე დროს, დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზეთის პრობლემა ამჟამად მოწესრიგებასთან ყველაზე უფრო ახლოს დგას, ვიდრე მსოფლიოში არსებული სხვა კონფლიქტები.

— მომიტევეთ, მაგრამ როგორ, თუკი აფხაზური მხარის პოზიცია აბსოლუტურად მტკიცე და უკომპრომისოა — კონფედერაციული ურთიერთობა საქართველოსთან და არავითარი სუროგატი?

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მწამს აფხაზ ლიდერებზე პოლიტიკური ზემოქმედების ღონისძიებებისა.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ამას შეიძლება უკუშედეგი მოჰყვეს? კერძოდ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციის მკვეთრმა გამკაცრებამ შარშან შემოდგომაზე გამართული მოლაპარაკების დროს მხოლოდ ის მოიტანა, რომ მან დაკარგა აფხაზური მხარის ნდობა როგორც შუამავალმა, დაიბადა ეჭვი, რომ იგი ცალსახად ადგას პროქართულ და ანტიაფხაზურ პოზიციას?

— არა, ვფიქრობ, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საკმარისი სიმტკიცე ვერ გამოიჩინა. როცა მრავალი თვის განმავლობაში როგორც რუსეთის მხარე, ისე ჩვენ ვიყავით იმის მოწმე, თუ რა ცინიკურად ეკიდებოდა აფხაზური მხარე მოლაპარაკებას, რამდენ აშკარა სიცრუეზე წავიდა იგი, ალბათ, საჭირო იყო უფრო მტკიცედ გარკვეულიყო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ასეთი ქცევისადმი მიდგომაში. და ეს არ იქნებოდა იძულებითი და ძალდატანებითი მეთოდები. ჯერ კიდევ შარშან ივლისში მოლაპარაკების მონაწილე, ყველა მხარემ განახორციელა შეთანხმების პროექტის ვიზირება, რომელიც შემდეგ აფხაზურმა მხარემ უგულებელყო.

— შესაძლოა განახლდეს შეიარაღებული დაპირისპირება ქართველებსა და აფხაზებს შორის?

— ჩვენი მხრიდან ეს გამორიცხულია. ყოველ შემთხვევაში, ეს ჩვენ ნამდვილად არ გვსურს, მაგრამ, ამავე დროს, ამჟამინდელ მდგომარეობას საქართველო ვერასოდეს ვერ შეურიგდება. ვფიქრობ, რომ მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ შეურიგდებოდა თავისი ისტორიული ნაწილის დაკარგვას, თანაც, როცა ამას აკეთებს მოსახლეობის არა უმრავლესობა, არამედ უმცირესობა. გარდა ამისა, როდემდე შევძლებთ დავაკავოთ ლტოლვილები, დავპირდეთ მათ, ცოტაც მოითმინეთ და მალე ყველაფერი მოგვარდება.

— ყოველივე ამასთან ერთად, ვშიშობ, რომ კონფლიქტი თავის ამჟამინდელ სტადიაში შეიძლება კიდევ მრავალი წლის მანძილზე გაჭიანურდეს. არ ჩანს მისი მოგვარების არავითარი იმპულსი...

— რაც მეტად გაჭიანურდება კონფლიქტი, მით უარესი იქნება ყველასთვის. აფხაზეთი რომ არ ყოფილიყო, არც ჩეჩნეთი იქნებოდა. ვ. არძინბას მხარეზე იბრძოდა 7-8 ათასი ჩეჩენი. თუ პრინციპულად არ მივუდგებით აფხაზურ სეპარატიზმს, ასეთი საშიშროება, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მარტო საქართველოს როდი დაემუქრება.

ლაპარაკობს თბილისი!

ყურთბალიშზე ძილის დრო აღარაა

1996 წლის 22 იანვარს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება (№ 58), რომელიც 24-ში დაიბეჭდა კიდეც ჩვენს გაზეთში. იგი, ერთი შეხედვით, საუწყებო, ვიწრო საქმეს ეხება: საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის მოადგილეს ოთარ ბიწაძეს თბილისში რადიო-სატრანსლაციო ქსელის გაუმართავი მუშაობის გამო გამოეცხადა საყვედური და თან გააფრთხილეს, რომ თუ უმოკლეს ვადაში „საქენერგოს“ დეპარტამენტთან ერთად არ გარდაქმნის მუშაობას, მის მიმართ მიღებული იქნება მკაცრი დისციპლინური ზომები.

ამ განკარგულების პრესაში გამოქვეყნების გამო ზოგიერთმა ჩვენმა კოლეგამ ეჭვი გამოთქვა, ასეთი რა დიდი ამბავი მოხდაო.

მე კი ვფიქრობ (და კოლეგებსაც ვუთხარი ჩემი აზრი), რომ ამ განკარგულებას აქვს მართლაც დიდი მნიშვნელობა, და აი, რატომ:

საქართველოსა და თბილისში არასტაბილური ელექტრომომარაგების შედეგად შეიქმნა ინფორმაციული ვაკუუმი — მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ უყურებს ტელეგადაცემებს. ძირითადად მოშლილია გაზეთების ადრესატებამდე მიტანის ნაცადი გზები და კაცი ქუჩაში თუ იყიდის გაზეთს, რომელიც საკმაოდ ძვირი ღირს. განა ყველას აქვს ამის საშუალება?

ამ ვითარებაში, ალბათ, გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას, რადიომ, რომელიც ათეული წლების მანძილზე, და თვით მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც, ემსახურებოდა მოსახლეობის ინფორმირების საქმეს. დღეს კი რომ თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე პირადად წელიწადზე მეტია რადიოქსელის საშუალებით არ მიმიღია არც ერთი გადაცემა, რადგან რადიო ჯიუტად დუმს, როგორც შინ, ისე სამსახურში.

რომ ვთქვა, თავი არ შემიწუხებიაო, არ იქნება სწორი — ორჯერ მივმართე კიდეც ტელეფონით (93-17-94, 93-17-65), მაგრამ, ალერსიანი ხმის მქონე მორიგე ქალბატონის შეპირების თანახმად, ოსტატმა მართლაც მოგვიწესრიგა რადიოხაზი რედაქციაში, შინ კი, ნურას უკაცრავად, ელექტროენერგიის არქონის გამო, ხაზის შეკეთება არ მოხერხდებაო....

ახლა დავფიქრდეთ, განა ასე აუცილებელია დღეს რადიო, როდესაც ამდენი მოუგვარებელი საქმე გვაყრია თავს და სულის მობრუნებაც გვიჭირს? დიახ, ბატონო, ეს საქმე — რადიოს გამართული მუშაობა — მართლაც საშური და გადაუდებელია! საჭირო, ოპერატიულ ინფორმაციას, რაგინდ უსიამოვნოც იყოს (რომ არაფერი ვთქვათ სასიამოვნო ამბებზე), პურის ჩვენის არსობის ტოლფასი როლი და წონა აქვს.

ავიღოთ, მაგალითისთვის, საქართველოს პრეზიდენტის ტრადიციული ორშაბათის რადიოინტერვიუ. ამ კითხვა-პასუხებში ხომ ობიექტურად არის აკუმულირებული ჩვენი (და არა მარტო ჩვენი) ქვეყნის მთელი 7 დღის უმნიშვნელოვანესი მოვლენების ანალიზი. ვისთვის ირჯებიან ჩვენი რადიოკოლეგები და თვით ბატონი პრეზიდენტი, თუ მის ხმას ვერ მოისმენს რესპუბლიკის მოქალაქეთა ძირითადი მასა, ხალხი, ვინც ზუსტად უნდა იცოდეს, რა ხდება მის თავს, რა გაკეთდა, რა კეთდება, რა გაკეთდება ჩვენი დუხჭირი ცხოვრების უკეთესობისაკენ შესაცვლელად?

ასე რომ, ხსენებული განკარგულების პრესაში გამოქვეყნება სრულიად მართებულად, სწორად და მიზანშეწონილად მიმაჩნია, დროა, შევიგნოთ — ყურთბალიშზე ძილის დრო აღარაა.

ალექსანდრე ბარქაია.

მინაწერი: ვიდრე ცხელ გულზე დაწერილი ეს მცირე რეპლიკა, ოფიციალური მასალებით გადატვირთვის გამო, ჩვენს გაზეთში დაისტამბებოდა, ამასობაში გაზეთ „ახალ თაობას“ ინტერვიუ ჩამოურთმევია ბატონ მინისტრის მოადგილისათვის, რომელშიც იგი თუმცა სამართლიანად თვლის პრეზიდენტის საყვედურს, მაინც მიიჩნევს, რომ „რადიოს მუშაობა დამოკიდებულია ელექტროენერგიის მიწოდებაზე“ და ამავე დროს გამოთქვამს აზრს, რომ „უნდა მოინახოს ისეთი ცივილიზებული და გავრცელებული მეთოდი, როგორიც არის უმავთულო რადიო... მთავრობამ უნდა გამონახოს ამ სფეროს გასაუმჯობესებლად საჭირო თანხები“.

გაურკვეველია მხოლოდ ვინ უნდა იზრუნოს ამ „ცივილიზებული მეთოდის“ მონახვაზე, და კიდევ: ვიდრე ამ სფეროს გასაუმჯობესებლად არ გამოინახება საჭირო თანხები, ინფორმაციულ ვაკუუმში გვყავდეს საქართველოს მოსახლეობა?

ა. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათქმელი უნდა ითქვას

სიკვდილი და სიცოცხლე განუყოფელია, ისევე, როგორც ნათელი და ბნელი.

ერთი არ არსებობს მეორის გარეშე.

მაგრამ სიკვდილთან ერთად არ ქრება ადამიანის მიწიერი კვალი. რჩება მისი ხსოვნა — ამქვეყნად ყოფნის ათინათი.

რჩება მისი საფლავი — ამქვეყნიური ბოლო სამკვიდრებელი.

კანონი, რომელიც იცავს ადამიანს სიცოცხლეში, გარდაცვალების შემდეგ იცავს მის საფლავს.

ეს ზოგადსაკაცობრიო კანონია, რომელიც ყველა სახელმწიფოს კანონმდებლობაში იმ ზომა-წონით არის ასახული, რა ზომა-წონითაც იმ სახელმწიფოს მოქალაქენი მიაგებენ პატივს თავიანთ მიცვალებულებს.

მაგრამ ადამიანთა მიერ შექმნილი კანონის გარდა, არსებობს უზენაესი — ღვთის კანონიც.

ბიბლია ადამიანის (უცოდველისაც და ავაზაკისაც) ამქვეყნიური ყოფის დასაწყისსა და დასასრულს სულ ხუთი სიტყვით გამოსახავს: „მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი".

ეს უძველესი ფორმულაა.

თებეს წინააღმდეგ არგოსის შვიდი მეფის ლაშქრობის დასასრულს, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ერთმანეთს შეაკვდნენ ძმები ეტეოკლე და პოლინიკე. პირველი პატივით დაკრძალეს, მეორე, სამშობლოს ღალატისათვის, დაუმარხავი დააგდეს. მისმა დამ ანტიგონემ, აკრძალვის მიუხედავად, თავისი სიცოცხლის ფასად, ადამიანთა კანონის სიასტიკეს ღმერთების უზენაესი კანონი დაუპირისპირა — მიცვალებული მიწას მიაბარა.

სოფოკლესა და ესქილეს გენიამ საუკუნეებს გადმოაწვდინა დის ამ თავდადების სიმშვენიერე.

საფლავს მეორენაირად ხამუდამო განსასვენებელი ჰქვია.

სა-მუ-და-მო გან-სა-სვე-ნე-ბე-ლი!

და არც ადამიანური და არც ღვთიური კანონით არავის, არც მტერს და არც მოყვარეს, არ აქვს უფლება მარადიული ძილი დაუფრთხოს, სამუდამო განსასვენებელში არ მოასვენოს მიცვალებული.

სამართალდამცავი ორგანოებიც კი, მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის ჟამს, სპეციალური დადგენილებით იძლევიან მიცვალებულის ექსჰუმაციის უფლებას...

გრძელი წინასიტყვაობა გამოვიდა.

მაგრამ ამბავი, რომელიც უნდა გაგაცნოთ, არ შეიძლება მუხტვით აძგერო მკითხველს: ერთობ მძიმეა მოსასმენად, კიდევ უფრო მძიმე — აღსაქმელად.

ქალაქ სენაკში ამ რამდენიმე თვის წინათ, უფრო ზუსტად, 1995 წლის 7-8 აგვისტოს ღამეს, საშინელი ტრაგედია დატრიალდა. კანონის მშრალი და ლაკონიური ენით თუ ვიტყვით: „გიორგი გორდელაძემ, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა, შურისძიების მოტივით, ჩაიდინა გელა ბარკალაიას განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, განსაკუთრებული სისასტიკით; ხოლო ლარისა გრიგოლიამ, ასევე ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა, ეს დაიამალა დაფარა".

უფრო კონკრეტულად კი: გიორგი გორდელაძემ თავისი საყვარლის ლარისა გრიგოლიას ბინაში წაასწრო გელა ბარკალაიას. ჩხუბის დროს გორდელაძემ ნაჯახით დაჩეხა ბარკალაია, შემდეგ, ქალის დაფარვის მიზნით, ქალის დახმარებით გვამი გადაიტანა შორიახლოს მშენებარე კორპუსის სარდაფში, ნავთი გადაასხა და დაწვა...

ბიჭები 25-25 წლისანები იყვნენ, ქალი — 6-7 წლით უფროსი.

გამოძიებამ დაადგინა ამ დანაშაულის ჭეშმარიტად შექსპირისეული პირქუში დეტალები.

მაგრამ ამჯერად ჩვენთვის ეს არ არის მთავარი (დაე, მასზე სასამართლომ იმსჯელოს დამნაშავეთა ბრალეულობის განსასაზღვრავად), იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, კაცის მიერ კაცის კვლა თავიდანვე დაებედა ადამის მოდგმას. კაენი და აბელი — აი, საქრისტო ისტორიის თითქმის მთელი შინაარსიო, უთქვამს ბრძენს.

და ჩემი საზღაური ჩემთან არს, რათა თითოეულს მისი საქმეებისამებრ მივუზღა

> „მისაცემლის ძადლი მიაგე ცოცხალს, მაგრამ წყალობას მკვდარსაც ნუ მოაკლებ...
> იტირე მკვდარი, რადგან მოკლებული აქვს ნათელი და იტირე უმეცარიც, რადგან მოკლებული აქვს გონება, ნაკლებად იტირე მკვდარი, რადგან განისვენა, უმეცარის სიცოცხლე კი სიკვდილზე უარესია".
> **ზირ. 7,33; 22,11.**

მთავარი შემდგომი მოვლენებია.

სწორედ ეს მთავარი მინდა შენთან ერთად გავიაზრო, მკითხველო, რადგან, არ დაგიმალავ, მარტომ ვერ შევძელი მისი გააზრება.

მკვლელობის საქმის განხილვა 1996 წლის 22 იანვარს დაიწყო სენაკში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ვახტანგ თორდიას თავმჯდომარეობით.

თავდაპირველად პროცესის გამართვა ზუგდიდში იყო ნავარაუდევი.

მაგრამ დააკმაყოფილეს მოკლულის ჭირისუფლების დაჟინებული მოთხოვნა — თუ სენაკში არ გაასამართლებთ, უკიდურეს ზომებს მივმართავთო.

25 იანვრამდე სასამართლო პროცესი ნორმალურად, პროცესუალური ნორმების სრული დაცვით მიმდინარეობდა (ეს არაერთგზის არის კონსტატირებული როგორც დაზარალებულის, ისე ბრალდებულის ახლობელთა მხრიდან).

მაგრამ, თურმე ეს, უბრალოდ, შტილი იყო ქარიშხლის წინ.

განსასჯელმა პროცესზე ჩადენილი დანაშაული უარყო.

25 იანვარს სასამართლოს მსვლელობისას, როდესაც განსასჯელის ინტერესების დამცველი ადვოკატი განცხადებას აკეთებდა, მას თავს დაესხნენ მოკლულის ახლობლები.

სასამართლო დარბაზში დაიწყო მასობრივი არეულობა.

ეს კიდევ არაფერი.

შემდეგ მოხდა წარმოუდგენელი რამ, რის აღქმაც გონებას უჭირს... იქვე, სასამართლოს შენობის გვერდით მდგომი ავტობუსიდან გადმოიტანეს კუბო ხუთი თვის მიცვალებულით და სასამართლოს სხდომის დარბაზის წინ, ფოიეში დაასვენეს...

კუბო წინასწარ იყო საფლავიდან ამოთხრილი და ამ აქციისთვის გამზადებული.

ულტიმატუმი: სანამ სასამართლო დაზარალებული მხარისთვის სასურველ განაჩენს (რა თქმა უნდა, სიკვდილის განაჩენზეა ლაპარაკი) არ გამოიტანს, კუბო აქ იქნება!

მთელს ამ ამბავში ასობით ადამიანი მონაწილეობდა.

ქალაქი შეიძრა.

სასამართლო სხდომა ჩაიშალა.

იმავე ღამეს, სამართალდამცავი ორგანოების ძალისხმევით (დაიხმარეს შინაგან საქმეთა სამეგრელოს რეგიონული სამმართველოსა და ახლომახლო რაიონებიდან გამოძახებული თანამშრომლებიც) მიცვალებული სასამართლოს შენობიდან გაიტანეს.

26 იანვარს პროცესი გაგრძელდა. სასამართლო გამოძიებაში მონაწილე მხარეებმა დაგმეს წინა დღის მომხდარი ინციდენტი და ჭეშმარიტების დადგენაში მხარდაჭერა აღუთქვეს სასამართლო კოლეგიას, რომლის ობიექტურობისა და სამართლიანობისაც სჯეროთ (მათი სიტყვებია). მაგრამ... მოკლულის ახლობლებმა იქვე დაუმატეს, ცხედარი მიწისათვის არ დაგვიბრუნებია, ოჯახში გვისვენია და სანამ ჩვენთვის სასურველ განაჩენს არ გამოიტანთ, მაინც არ დავმარხავთო.

სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ასეთ პირობებში, როდესაც გვამი ისევ არ არის დაკრძალული და არსებობს მისი სასამართლოში ხელმეორედ მოსვენების რეალური მუქარა, სასამართლო პროცესის სენაკში გაგრძელება შეუძლებელია, სასამართლო გამოძიება უნდა გაგრძელდეს თბილისში...

აი, ასეთი ამბავი მოხდა სენაკში იანვრის მიწურულს.

მას, ტრაგედიით დაწყებულს და ფარსით დამთავრებულს, რამდენიმე ასპექტი აქვს.

დავიწყოთ სამართლებრივი ასპექტით.

ხელთ გვაქვს „დომინოს პრინციპით" ასხმულ დანაშაულთა მთელი ჯაჭვი:

პირველმა დანაშაულმა (მკვლელობამ) უმალ შვა მეორე — მოკლულის ჭირისუფლებმა მკვლელს დაუწვეს სახლი;

(დასასრული მე-4 გვ.).

გამოძიება ბრალს სდებს

ქართველების გენოციდი აფხაზეთში

1. ექსტრემიზმის ნათლიმამები ავტონომიური რესპუბლიკის მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ

უახლესი ისტორიის დაკაბადონებული გვერდების მატრიცები ალაგ-ალაგ ისეა ამოკბეჩილი, როგორც ტყვიით დაცხრილული ბაზალტის საფეხურები მეტროსადგურ „თავისუფლების მოედნის" ამოსასვლელთან: ქვის ხანის კლდის ნახატები მეოცე საუკუნის ავტორობით, ისეა წაშლილი, როგორც ენგურს გაღმა-გამოღმა ნასახლარები და ნასოფლარები უამრავი.

ახალი შლიმანი დასჭირდება აქ დამარხული სიტყვის ამოკითხვას?

თუ არის ეფექტიანი სხვა საშუალება სიმართლის დადგენის, ანუ ჭეშმარიტებასთან მიახლოების?

სამართალი, მაგალითად?

სამართალმა მართლაც იკისრა ეს მძიმე მისია, მძიმე და რთული სამართლებრივ, საზოგადოებრივ და ადამიანურ ჭრილში.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა ამთავრებს აფხაზეთში ქართველთა გენოციდის როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებას, თუ დამთავრებულია?

— გამოძიება მთავრდება, — **ამბობს საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელი, რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი.** — დადგენილია ძირითადი გარემოებები ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილი ამ უმძიმესი დანაშაულის იდეოლოგიური და სამართლებრივი წანამძღვრების მომზადების, დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ.

— შეიძლება დღეს მათზე საჯაროდ ლაპარაკი?

— საჭიროც არის, მით უფრო, რომ ამით არ დაბრკოლდება საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა და სწორი გადაწყვეტილების მიღება.

— თანაც, ჩვენს მკითხველებს დავპირდით, რომ ისაუბრებდით აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის გენოციდის ფაქტებზე.

— ეს ფაქტები ცნობილი იყო, მაგრამ, ყველას მოეხსენება, რომ კანონის ასამოქმედებლად ფაქტი თავისთავად უნდა იქცეს გამოძიების მიერ დადასტურებულ ფაქტად.

ჩვენი საგამოძიებო ჯგუფის ხანგრძლივი და ინტენსიური მუშაობის შედეგი ფიქსირებულია სისხლის სამართლის საქმის ასამდე ტომში.

ამთავითვე გეტყვით, რომ ის, რაც სეპარატისტებმა ჩაიდინეს, გაშიშვლებული ცინიკური ბოროტმოქმედებაა, კაცთმოძულეობაა, რომლის ანალოგი გერმანელ ფაშისტთა მოქმედებაშიც კი ძნელად მოიძებნება.

— სეპარატისტთა დანაშაულობათა ხარისხი ვერ ეტევა ადამიანურობის პარამეტრებში. არსებობს ფაქტებით დადასტურებული მოსაზრება, რომ პოლიტიკური თუ სისხლის სამართლის დანაშაულის 90 პროცენტი შთამომავლობითი დეგენერაციის შედეგია.

— ცალკეულ შემთხვევაში, ალბათ, არც უმაგისობაა, მაგრამ ჩვენ საქმე გვაქვს მოვლენასთან, აქ კი სხვა კრიტერიუმებით იზომება დანაშაულის სიმძიმეც, მისი გამომწვევი მიზეზებიც. ძალიან გავამარტივებდით ამ მოვლენას, მხოლოდ ფსიქიკურ გადახრებს თუ დავუდებდით სარჩულად.

— ამიტომ, ეგებ ღირდეს მცირე ისტორიული წიაღსვლა?

— დავარქვათ პირობითად წიაღსვლა, რადგან ეს მაინც არის სისხლის სამართლის დანაშაულის ერთი მონაკვეთი, რომელიც 60-იან წლებიდან იწყება.

სწორედ ამ დროს აფხაზეთის ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მაღალი თანამდებობის და სხვა პირებმა ჩამოაყალიბეს ექსტრემისტ შეთქმულთა ორგანიზებული ჯგუფები, რომელთა მიზანი საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებების შეზღუდვა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობიდან აფხაზეთის ძალადობრივი გზით გამოყოფა იყო.

მათ დიდი მუშაობა გასწიეს საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შესაყვანად, განზრახ და გამიზნულად ამახინჯებდნენ და აყალბებდნენ ისტორიულ ფაქტებს. მიმართავდნენ პოლიტიკურ ინსინუაციებს, დემაგოგიას, ცილისწამებას, შანტაჟს, ლეგენდებს თხზავდნენ ქართველების მიერ აფხაზეთის ტერიტორიის დაპყრობის, აფხაზური ეთნოსის ჩაგვრისა და ფიზიკური განადგურების შესახებ.

ათეული წლების განმავლობაში ამკვიდრებდნენ ქართველებისა და აფხაზების მშვიდობიანი თანაარსებობის შეუძლებლობის დოქტრინას. მეტიც — სეპარატისტებმა სახელმწიფო პოლიტიკად გაიხადეს ფაშისტური მეთოდებით „თვითგამორკვევის უფლებათა" რეალიზაცია, შეიარაღებული ბრძოლა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ძალადობრივი დარღვევა, ეთნიკური ჯგუფების განადგურებითა და განდევნით დემოგრაფიული ვითარების შეცვლა.

რუსეთში მავანთა გულის მოსაგებად ისინი აფხაზეთს რუსეთის განუყოფელ ნაწილად აცხადებდნენ, ხოლო საქართველოს — რუსეთის მტრად.

ყველაფერი ეს პრინციპულად ცნობილი იყო ადრეც, მაგრამ ახლა გამოძიებით არის დადგენილი და სამართლებრივ დოკუმენტად ჩამოყალიბებული, ახლა ეს ყოველივე უკვე ბრალდებაა.

სეპარატისტებმა აქტიურად გაითამაშეს რელიგიური კარტი, ავრცელებდნენ მუსულმანური ფუნდამენტალიზმის დიდმპყრობელურ იდეებს და ჩრდილოეთ კავკასიასა და საზღვარგარეთის ქვეყნებში მცხოვრებ მაჰმადიანებს უჩიჩინებდნენ, რომ კავკასია ერთიანი და განუყოფელია მაინც და მაინც მუსულმანთათვის, ქართველები კი ხოცავენ აფხაზებს, ამ იდეის ერთგულ ერს.

აფხაზეთში მოთარეშე საქართველოს ექსპრეზიდენტის ბანდფორმირებებს აქეზებდნენ რესპუბლიკის ხელისუფლების დასამხობად, დივერსიებისა და ტერორისტული აქტების მოსაწყობად, ქვეყანაში განუკითხაობისა და ქაოსის დასამკვიდრებლად.

— მათ შორის ალიანსის რეალობა სხვა საქმეების გამოძიების შედეგადაც დადასტურდა. ამაზე თქვენ უკვე ისაუბრეთ წინა ინტერვიუებში, მაგრამ ვისთვის ირჯებოდნენ ყოფილი ხელისუფლების რესტავრაციის მოსურნენი, თუ მათი მხარდამჭერი სეპარატისტები ხელყოფდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას? სად არის აქ ლოგიკა?

— საერთოდ ძნელია ლოგიკურის მოძებნა დანაშაულში, აქ კი, ამ შემთხვევაში, — შეუძლებელია. ხელისუფლების სათავეში ყოფნის ყოვლისმთანთქმელ ამბიციას ეწირებოდა ყველაფერი. ასეთ ვითარებაში რა ლოგიკურობაზე შეიძლება ლაპარაკი?!

სამაგიეროდ, თავისი ლოგიკით ტრიალებდა ექსტრემისტების პროპაგანდისტული მანქანა და „დაჩაგრული" აფხაზების „გადასარჩენად" მატერიალური სახსრების, იარაღის შესაგროვებლად, დაქირავებული მკვლელების საქართველოში ჩამოსაყვანად მოძრაობის გაძლიერებას ხელს უწყობდა.

არაფერს ვიტყვი მოგებულ ან წაგებულ ინფორმაციულ ომზე, გაყიდულ პრესაზე, ტელეპროგრამებზე და სხვა, მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ სეპარატისტთა პროპაგანდისტული იდეები საეჭვო ერთგულებით აიტაცეს რიგი სახელმწიფოების საინფორმაციო საშუალებებმა და აშკარად პროაფხაზური პოზიცია დაიკავეს.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ბრძოლა სეპარატისტებმა განსაკუთრებით გააქტიურეს 1990 წლის გაზაფხულიდან. აგვისტოში ჩატარებულ უმაღლესი საბჭოს სესიაზე პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვალერიან კობახიამ, დეპუტატმა დ. აჯინჯალმა და სხვებმა საბამი მისცეს სიძულვილის ახალ ტალღას, რომელმაც უდიდესი ვნება მიაყენა ქართველ-აფხაზთა საუკუნოვან ძმობას.

გამოძიების მიერ დადგენილია, რომ სეპარატისტები სოციალური აფეთქებისა და სისხლისმღვრელი შეტაკების პროვოცირებისაკენ მიმართულ საქმიანობას მეთოდურად და გეგმაზომიერად წარმართავდნენ ორგანიზაცია „აიდგილარას" მეშვეობით.

საქმის მასალებით დამაჯერებლად არის წარმოდგენილი „აიდგილარას" და სხვა გაერთიანებების ლიდერთა ანტისახელმწიფოებრივი ქმედობის მდიდარი სპექტრი. ისინი სისტემატურად და გამიზნულად ავრცელებდნენ განცხადებებს, მოწოდებებს, ცრუმეცნიერულ „გამოკვლევებს", რომლებიც მიმართული იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის ძირგამოსათხრელად. ასეთი „ნაშრომები" საშური გულმოდგინებით გამოიცემა ამჟამადაც. ასე მაგალითად, რუსულ ენაზე გამოიცა „გამოუცხადებელი ომის აფხაზური ქრონიკა", „აფხაზეთის თეთრი წიგნი", „აფხაზური ტრაგედია" და ასე შემდეგ.

— ალბათ, უნდა ვიცოდეთ, რას წერენ სეპარატიზმის იდეოლოგები.

— ერთ მაგალითს დაგისახელებთ და ჩვენი მკითხველები თვითონ გაარკვევენ, რა სიყალბეა მათ პროპაგანდისტულ ოპუსებში:

ალექსი გოგუა, სეპარატისტთა ერთ-ერთი იდეოლოგი, წერს, რომ ქართველებმა „ინტელიგენციის განადგურებით ან დაუძლურებით, აფხაზური სკოლების დახურვით, აფხაზეთის საუკეთესო მიწებზე საქართველოს სხვა რაიონებიდან 200.000-ზე მეტი კაცის ჩასახლებით, რამაც მკვიდრი მოსახლეობის ნაწილის ასიმილაცია გამოიწვია, კავკასიის ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ხალხი და მისი კულტურა შოკურ მდგომარეობაში ჩააგდო, მისი ავტონომია კი ფარატინა ქაღალდად იქცა". ამის დამტკიცებას ცდილობენ ბ. თარბა, ბ. საღარია და სხვები. ფაქტობრივად, ეს არის მთელი მათი იდეოლოგიის კვინტესენცია.

ასეთ სიყალბეს, დემაგოგიასა და ცილისწამებას ყოველთვის არ მოჰყვებოდა ხოლმე პრინციპული რეაგირება. ისიც სათქმელია, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ხელოვნურად კეტავდა ინფორმაციის გავრცელების საერთო-რესპუბლიკურ არხებს, რათა სიმართლეს არ შეეღწია აფხაზეთში.

მტრობისა და შუღლის პროპაგანდამ შვა ქართველების მიმართ ფიზიოლოგიური სიძულვილი.

ერთი მხარე ამ ნეგატიური პროცესისა განსაკუთრებით უნდა გამოვყო. გამოძიების პროცესში გამოიკვეთა, რომ აფხაზ ეთნოკრატებს თავიანთი ჯგუფური თუ კლანური ინტერესების საერთო აფხაზურ ინტერესებად წარმოჩენაში, აქედან გამომდინარე, — სეპარატიზმის იდეური ბაზის შექმნაში ფრიად დაეხმარნენ ქართველი მაქსიმალისტები, რომლებიც თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლაში ქვეყნის არაქართველი მოსახლეობის მიმართ შეურაცხმყოფელ გამოთქმებსა და მუქარასაც კი არ ერიდებოდნენ.

თავიანთ საჯარო გამოსვლებში ისინი არცთუ იშვიათად საეჭვოდ მიიჩნევდნენ აფხაზთა უფლებებს საქართველოში და ავტოქტონობას. უვარძლის ამ თესლს სეპარატისტები თავიანთ სასარგებლოდ აღვივებდნენ.

— ბატონო ანზორ, საუბრის დასაწყისში თქვენ ექსტრემისტების ორგანიზატორებად დაასახელეთ აფხაზეთის ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მაღალი თანამდებობის პირები.

— დიახ, და სწორედ მათი ინიციატივით 1990 წლის 25 აგვისტოს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ", რომლითაც ცალმხრივად, საქართველოს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იმ პერიოდში მოქმედი კონსტიტუციების საწინააღმდეგოდ, ფაქტობრივად გამოაცხადა საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გასვლა.

შეთქმულ სეპარატისტთა მიზნები დაუფარავად გამჟღავნდა 1990 წლის 26 აგვისტოს დადგენილებაში „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ".

ექსტრემისტებმა წინასწარ მოამზადეს აპარტეიდის პოლიტიკის კონცეპტუალური საფუძველი, კანონში „უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების თაობაზე" შანტაჟით და ძალადობით შეიტანეს ცვლილებები, რითაც დე-იურე დაამკვიდრეს აპარტეიდი. ალბათ, გახსოვთ, რომ ამ „კანონით" არჩევნების ჩატარებისას 28 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატებად მონაწილეობა მხოლოდ აფხაზებს შეეძლოთ, 26 ოლქში — მხოლოდ ქართველებს, დანარჩენ ოლქებში — სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს.

მე აღარ ჩამოვთვლი იმ კანონებსა და დადგენილებებს, რომლებიც 1991-92 წლებში ვ. არძინბას აქტიური მონაწილეობით, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის მოთხოვნათა დარღვევით მიიღეს, რომლებითაც შეზღუდეს საქართველოს იურისდიქცია და ხელყვეს მისი ტერიტორიული მთლიანობა.

სამწუხაროა, რომ ამ სამართლებრივ დივერსიას არ მიეცა შესაბამისი შეფასება და დროზე არ იქნა აღკვეთილი, მით უფრო, რომ აშკარა იყო იურიდიული შეუსაბამობა, კურიოზებიც კი. ასე, მაგალითად, 1992 წლის 23 ივლისს ელემენტარული საკონსტიტუციო ნორმების უგულებელყოფით, ქართველ დეპუტატთა ნების იგნორირებით, ხმათა უბრალო უმრავლესობით გააუქმეს აფხაზეთის 1978 წლის კონსტიტუცია და „აღადგინეს" ე. წ. აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1925 წლის კონსტიტუცია, რომელიც, თავის დროზე არც კი ამოქმედებულა.

სეპარატისტ ხელისუფალთ აფხაზეთში დემოგრაფიული ვითარების შეცვლის მიზნით მიღებული აქვთ დისკრიმინაციული დადგენილებები, რომელთა ძალით, ერთი მხრივ, პრაქტიკულად აკრძალეს ამ რეგიონში არააფხაზთა ცხოვრება, მეორეს მხრივ, შეზღუდვა არ გაავრცელეს საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქეებზე, რომლებიც მხოლოდ განაცხადებდნენ, რომ აფხაზები იყვნენ.

აფხაზეთში მოქალაქეთა ჩასახლებას სეპარატისტები გამარტივებული და საიდუმლო წესით ახორციელებდნენ.

მარტო 1992 წლის მარტში სოხუმში, ოჩამჩირესა და სხვა რაიონებში მუდმივად ცხოვრების ნება დართეს სირიიდან, იორდანიიდან, სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ 100 პირს. საყოველთაოდ ცნობილია, ხოლო გამოძიებამ ფაქტობრივად დაადასტურა, რომ სეპარატისტები გადამთიელ „ბოევიკებს" ჯილდოდ აფხაზეთში ცხოვრებისა და დაუსჯელი თარეშის უფლებას აძლევდნენ.

— დაქირავებულ ბოევიკებს, რომლებიც ქართველებს ხოცავდნენ, საქართველოში ასახლებდნენ?

— დიახ, მაგრამ ეს საკმაოდ დიდი საკითხია...

ესაუბრა
არმაზ სანებლიძე.

(გაგრძელება იქნება)

მხილება

ჩერნიხის შავი საქმენი



№ 2522
Черных
Сергей Львович
1993 г.
ПОДЛЕЖИТ ВОЗВРАТУ
ПОДПИСЬ



РЕДАКЦИЯ
ГАЗЕТЫ
Командировочное предписание
Черных Сергею Львовичу
предлагаю Вам убыть в города Ростов, Ставрополь, Воронеж, Нижний Новгород, Москву
мая 1993 г.
Главный редактор газеты

რამდენიმე წლის წინათ სერგეი ჩერნიხს* გამწარებით უთქვამს: სიამოვნებით დავხვრეტდი ქართველ ჟურნალისტებს. არ ვიცი, რა აზრისაა იგი ახლა თავის „კოლეგებზე", მაგრამ იმხანად ეს სიტყვები გულისგულიდან რომ ამოხდა, — ნაღდი ამბავია.

რა ხდება? რად დაგვჭირდა ამჯერად ამ სადისტური ფრაზის მოხმობა?

თვითონ შეგვახსენა თავი. „კომსომოლსკაია პრავდაში" დაბეჭდა ვრცელი წერილი. ამ ცილისწამებლურ პასკვილში ჩერნიხი ასკვნის, რომ ედუარდ შევარდნაძე თავის ყოფილ თანამებრძოლებს მეთოდურად აგზავნის ციხეში. თურმე ჩვენს პრეზიდენტს სხვა არაფერი საქმე ჰქონია, გარდა მეგობრების ანგარიშსწორებისა, მეტოქეთა ჩამოცილებისა.

ერთი სიტყვით, როგორც თავად რუსულ იგავებშია — ფინია უყეფს სპილოს, — შემხედეთ, რა გულადი, რა უშიშარი ვარო.

არადა, საქართველოში კარგად იციან, რა რაინდიც გახლავთ ჩერნიხი. მას ემახსოვრება 1993 წლის 4 ოქტომბერი, როცა ჩვენი საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის მუშაკებმა დააკავეს, — ბაჭიასავით თრთოდა, თითები ისე უკანკალებდა, სიგარეტს ვერ იმაგრებდა.

რატომ დააკავეს მაშინ სერგეი ჩერნიხი? იგი ეჭვმიტანილი გახლდათ საქართველოს წინააღმდეგ მტრულ საქმიანობაში. ოპერატიული თუ ოფიციალური წყაროებიდან მოპოვებული მასალებით მტკიცდებოდა, რომ მას აგენტურული ხასიათის კავშირი ჰქონდა რუსეთის სპეცსამსახურებთან: ეს სავსებით დადასტურდა ჩერნიხის როგორც პირადი, ასევე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ჩატარებული ჩხრეკისას...

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: **სერგეი ჩერნიხი თბილისში გაიზარდა, საშუალო სკოლაც აქ დაამთავრა. აქ ცხოვრობენ მისი მეზობლები, მეგობრები,** — ძველ პლეხანოვზე. და აი, აქ გაზრდილ, აქ დავაჟკაცებულ, ჰუმანური და სამართლიანი პროფესიის პიროვნებას პათოლოგიურად სძულს ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხიც. ეს აშკარად ჩანს ყველა იმ პასკვილიდან, რომლებსაც იგი აცხობს რუსეთის პრესაში. მოკლედ, არ დაგველია კატკოვები, კოჟინოვები, ჩერნიხები.

სამხედრო სამსახურის შემდეგ ჩერნიხი რუსეთში დარჩა. სწავლობდა ვორონეჟის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. ოთხმოციანი წლების ბოლოს მუშაობდა ლატვიაში რუსეთის ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტად. როგორც ამბობენ, გამოაპანღურეს ამ რესპუბლიკიდან ისევ მტრული საქმიანობისათვის. და კვლავ მოგვევლინა „უძღები შვილი", ამჟამად უკვე „კომსომოლსკაია პრავდის" კორესპონდენტად.

ერთი შეხედვით, ჩერნიხს სტუმარი არ ეთქმოდა. მაინც ვთქვით, სტუმარი ღვთისააო. მაგრამ ასეთი სტუმარი? ჩამოვიდა თუ არა, იმავე წამს კავშირი გააბა უცხოეთის სპეცსამსახურებთან. მას აძლევდნენ **კონკრეტულ დავალებებს: ძირითადად პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის ინფორმაციის მოპოვება, დეზინფორმაციის გავრცელება, ხელმძღვანელი მუშაკების კომპრომეტირება...**

1992 წლის დეკემბერში, მაგალითად, იგი ეწვია რუსეთის სამხედრო პროკურატურას. აპირებდა მაკომპრომეტირებელი მასალების შეკრებას მაშინდელი თავდაცვის მინისტრის მოადგილის ა. კამკამიძის შესახებ. იმავე პერიოდში ჩერნიხი ცდილობს მოიპოვოს ინფორმაცია ისეთი პუბლიკაციებისთვის, რომლებიც გაამწვავებდა ურთიერთობას თ. კიტოვანსა და სახელმწიფოს მეთაურს შორის...

პარალელურად იგი დაძვრება ჩვენს პარლამენტში და ავრცელებს დეზინფორმაციას: თითქოს საქართველოს უშიშროების ორგანოები ცდილობენ საზოგადოებას დაუმალონ საქართველოს პარლამენტის მასალები, რომლებიც მეტყველებენ მთავრობასა და პარლამენტში აგენტურის ქსელის არსებობაზე. ჩერნიხი არწმუნებდა ცალკეულ დეპუტატებსა და მთავრობის წევრებს: — ყველაფერი უნდა გაკეთდეს პრესაში ყოფილი სუკის აგენტების სიების გამოსაქვეყნებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, სადაზვერვო სამსახურს ყოველთვის ექნება შესაძლებლობა ზეგავლენა მოახდინოს პარლამენტსა და მთავრობაზეო. ამით ცდილობდა უთანხმოება და წინააღმდეგობა ჩამოეგდო პარლამენტსა და უშიშროების სამსახურს შორის.

კიდევ უფრო შორს შეტოპა სერგეი ჩერნიხმა აფხაზეთის კონფლიქტის დროს. იგი აღჭურვილი იყო ყველა დოკუმენტით, რომლებიც საშუალებას აძლევდა თავისუფლად ესეირნა სოხუმშიც, გუდაუთაშიც, გაგრაშიც. რუსეთის ჯარების დაზვერვის ხელმძღვანელი მუშაკები თვითმფრინავსაც კი მიართმევდნენ მივლინებებში სასიარულოდ. ან როგორ არ დაეხმარებოდნენ.

ჩერნიხი დაინტერესებული იყო შეიარაღებული ძალების პოტენციალზე ინფორმაციის მოპოვებით. განსაკუთრებით ცდილობდა გაერკვია, — ჰქონდა თუ არა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს სოხუმში „ს-75" ტიპის რაკეტებით აღჭურვილი საჰაერო თავდაცვის კომპლექსები, იმყოფებოდა თუ არა ეს იარაღი საბრძოლო მდგომარეობაში; სად იყო დისლოცირებული და შეძლებდა თუ არა ქართული მხარე მის გამოყენებას სეპარატისტების მიერ სოხუმის საჰაერო დაბომბვისას. აი, ასე!...

გახსოვთ, ა. ნევზოროვმა რა დოკუმენტური ფილმი გადაიღო ვილნიუსში რუსეთის „ომონის" მიერ სატელევიზიო ანძის აღებისას? „ჩვენები" — ასე ერქვა იმ ფილმს. ამ სათაურისთვისაც და მისი შინაარსისთვისაც ნევზოროვი თავად რუსებმაც კი გალანძღეს. იგივე ამოხდა ჩერნიხს, როცა ოჩამჩირეში სეპარატისტებმა და მათმა გადამთიელმა მოძმეებმა დესანტი გადმოსხეს, როცა იქაც და კინდღშიც ქართველების სისხლით ზღვა შეღებეს: — „ჩვენებმა დესანტი გადმოსხეს". ვინ ჩვენებმა? ვინ ლაპარაკობს ამას, — თბილისში გაზრდილი ბიჭი?

სწორედ ეს ბიჭი ეძებდა „კავშირებს" სამართალდამცავ ორგანოებში, სახელმწიფოს მეთაურის აპარატში, ჟურნალისტთა წრეში... ეძებდა და პოულობდა კიდეც. იძენდა სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციას, მათ შორის — საიდუმლოს.

ჩერნიხის დაკავებისთანავე აწრიალდა რუსეთის მხარე. მისი გათავისუფლების მიზნით თითქმის ყველა დათმობაზე წავიდნენ. გამოუშვეს, მაგალითად, 1993 წლის ივნისში ადლერში დაპატიმრებული ჩვენი სპეცსამსახურის ოთხი თანამშრომელი. რა ისეთი დიდი განძი იყო ჩერნიხი? ალბათ, იყო! ჩვენცა გვყავდა დაკავებული რუსეთის სპეცსამსახურების კადრის მუშაკები, მაგრამ მათზე ყურიც არავის გაუპარტყუნებია. აი, ჩერნიხი კი... სამ დღესაც არ გააჩერეს თბილისში!...

ბევრი ბოღმა და ნაღველი დაანთხია სერგეი ჩერნიხმა თავის „პოლიტიკურ პორტრეტში", მაგრამ სიმართლეს მაინც ვერ გაექცა. იგი თავად წერს: „შევარდნაძემ შესამჩნევად განამტკიცა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ბაზა... ცხოვრება დღითიდღე უმჯობესდება... ბოროტმოქმედებაც ნელ-ნელა თმობს თავის, ერთი შეხედვით, მყარ პოზიციებს..." და ბოლოს: „როგორადაც უნდა ჩანდეს შევარდნაძის მოქმედება გარედან, ეს ქართველი ხალხის გულისწყრომას არ იწვევს"...

აგაშენა ღმერთმა! ქართველი ხალხის გულისწყრომას იწვევს ის, რომ მას ყოველ გადამწყვეტ, ყოველ კრიტიკულ მომენტში კვანტს უდებენ ჩერნიხისნაირი კალმოსანი ავანტიურისტებიც და პოლიტიკური მაბეზღარებიც. ეს სტატიაც „კომსომოლსკაია პრავდამ" დაბეჭდა მაშინ, როცა დსთ სახელმწიფოთა მეთაურების მოსკოვის სამიტზე საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო.

რუსეთის ზოგიერთი გაზეთის უკეთური პოზიცია ჩვენთვის დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ჩვენები რაღამ გაახელა? ჩერნიხის პასკვილი რამდენიმე ქართულმა გაზეთმა ერთდროულად გადმობეჭდა და ამით უნებურად ან შეგნებულად პოპულარიზაცია გაუკეთა ცილისმწამებლის პოზიციას. იქნებ, ცოტა დავფიქრდეთ, გავარკვიოთ ვის და რას ემსახურება ესა თუ ის პუბლიკაცია და მერე მივცეთ გზა მკითხველისაკენ? ჩვენ ჭკუას არავის ვასწავლით, მაგრამ...

თუ პრესა ერისა და ქვეყნის სამსახურშია, მხოლოდ საგულდაგულოდ აწონილი სიტყვა უნდა გამოვიტანოთ სამზეოზე.

გიორგი თეთრაძე.



---

* **„ჩორნი", როგორც იცით, რუსულად შავს ნიშნავს, შავ კაცს, ჩვენს შემთხვევაში, — შავი საქმეების მკეთებელს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

მწყემსები მოითხოვენ...

იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის სულადობის შემცირებაზე, განეკუთვნება პირუტყვის განუწყვეტელი დატაცებაც. მარტო შარშან, არასრული მონაცემებით, რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში გაიტაცეს რამდენიმე ათასი ძროხა, ცხვარი, ღორი. ახლახან, იარაღის მუქარით მოიტაცეს ცხვრის დიდი პარტია დედოფლისწყაროსა და ახმეტის რაიონებში.

იმისათვის, რომ თავი დაიცვან დამნაშავეთაგან, შეინარჩუნონ პირუტყვის სულადობა, მწყემსებმა მოითხოვეს მუშაობის დროს იარაღის ტარების ნებართვა. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ გაითვალისწინა მათი მოთხოვნა და რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სთხოვა, დააჩქაროს ამ საკითხის გადაწყვეტა.

პოლიცია არ დაიღლება დამნაშავეებთან ბრძოლით

ცხელ კვალზე წაასწრეს დამნაშავეებს მთაწმინდის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა. 28 იანვარს, ღამის 11 საათზე, ბარნოვის მეორე ჩიხში ავტომანქანა „ტაქსის" ყაჩაღობის ფაქტთან დაკავშირებით, დანაშაულის ჩადენის ადგილზე პოლიციელებმა დააკავეს ბესიკ მამიას ძე ბუზნიკაშვილი (დაბადებული 1968 წელს, მცხოვრები თბილისში, ბაქრაძის ქ. № 10) და გიორგი თამაზის ძე ბადრიაშვილი (დაბადებული 1976 წელს, მცხოვრები ქ. თბილისში, ბაქრაძის ქ. № 8). „შეხმატკბილებულმა მეზობლებმა" მესამე, ჯერჯერობით დაუდგენელ პირთან ერთად, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის მუქარით გაძარცვეს სამრეწველოს დასახლების № 20-ში მცხოვრები თ. დემეტრაშვილი. ნივთმტკიცება ამოღებულია. მიმდინარეობს გამოძიება.

რეპლიკა

რატომ არ იშოვება თბილისში ნავთი?!

— იქნებ ამ კითხვაზე გვიპასუხონ იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა, ვისაც დედაქალაქის ნავთით მომარაგება ეხება. არ არის ელექტროენერგია, სინათლეს ხან მთელი ოცდაოთხი საათის განმავლობაში ერთი საათით თუ იძლევიან. რა ქნას მოსახლეობამ, რით დაამზადოს სადილი, რომ არაფერი ვთქვათ, გათბობაზე? არადა, თებერვალმა სუსხიანად დაუბერა და სიცივისგან ვიყინებით.

ახლა თბილისის თითქმის ყველა უბანში შეხვდებით ნავთის ჭურჭლით მოსიარულეთ, რომლებიც ერთმანეთს შეწუხებული ეკითხებიან: ხომ არ იცით, სად იყიდება ნავთი? ამით ისარგებლეს კორ-ვაჭრებმა და ერთი ლიტრა ნავთის ფასმა საკმაოდ აიწია — 25 თეთრიდან ერთ ლარამდე ავიდა. აი, თუნდაც მისამართს გაცნობებთ: სპორტის სასახლესთან, ბარაკების მიდამოებში ერთი ლიტრა ნავთი 1 ლარი დაგვიფასეს!

რა ვქნათ, როგორ გავუძლოთ ამდენ გასაჭირს. ნუთუ ხალხზე არავინ არ უნდა ზრუნავდეს?!

ჩოგანი

თამარ ფაჩულია თბილისის ჩემპიონია

დასრულდა თბილისის ჩემპიონატი ქალთა შორის ჭადრაკში. ბრწყინვალე შედეგით — 9 თამაშიდან 8 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა ფიზკულტურის აკადემიის მეორე კურსის სტუდენტმა თამარ ფაჩულიამ.

7-7 ქულით, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ სოფიკო ტერელაძე და ნორჩი ანა მათნაძე. ეს სამეული პირდაპირ არის დაშვებული ქალთა უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ, რომელიც მაისში გაიმართება.

მილოცვა

თემურ პირმისაშვილს ვულოცავთ დაბადების 60 წლისთავს და ვუსურვებთ ოჯახის შექმნას.

მეგობრები.

და ჩემი საზღაური ჩემთან არს, რათა თითოეულს მისი საქმეებისამებრ მივუზღა

(დასასრული)

შემდეგ შეიბილწა საფლავი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 237-ე მუხლით: „საფლავის შებილწვა, ე. ი. საფლავის ან მისი სხვადასხვა მიწისზედა მორთულობის დანგრევა, აგრეთვე საფლავის წამბილწველი მოქმედების ჩადენა, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით";

სასამართლოს დარბაზში მოხდა არეულობა, რამაც პროცესი ჩაშალა. ამდენად, გარკვეულწილად, გვაქვს ქმედება საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ, სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, იმ პირთა მხრიდან, ვინც ეს ჩაიდინა;

დაირღვა კონსტიტუციის ერთ-ერთი მოთხოვნა: იყო სასამართლოზე ზემოქმედების ცდა. საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლით: „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება ან მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, აკრძალულია და ისჯება კანონით".

ერთმა დანაშაულმა შვა მეორე, მეორემ — მესამე, მესამემ — მეოთხე, მეოთხემ — მეხუთე...

სამართლებრივ სახელმწიფოში ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს.

დანაშაული დანაშაულია და სხვისი დანაშაულის სიმძიმე ვერ გადაწონის იმ დანაშაულის საწინააღმდეგოდ ჩადენილ შენს დანაშაულს.

დაუსჯელობის სინდრომი იმითაც არის საშიში, რომ, ყველაფერთან ერთად, გადამდებია.

ახლა მეორე მხარე — ზნეობრივი.

შეუძლებელია არ შეგძრას ახალგაზრდა კაცის გელა ბარკალაიას ასეთმა საშინელმა აღსასრულმა, მისმა უაზროდ ჩამქრალმა სიცოცხლემ.

შეუძლებელია არ გაიზიარო მისი ოჯახისა და ახლობლების დიდი მწუხარება.

კიდევ უფრო სამწუხარო და გულსაკლავია, რომ ამ უბედურ ჭაბუკს არც საფლავში აქვს მოსვენება.

მიცვალებულის შეწუხება, საფლავიდან ამოთხრა იმ ადამიანების მიერ, ვისთვისაც ყველაზე ძვირფასია მისი ხსოვნა, მისი ძვალთშესალაგი, იმ მიზნით, რომ სასამართლოზე ზემოქმედება მოახდინონ, სწორედ რომ აუხსნელი და გაუგებარი ქმედებაა. ძალზე მძიმეა გულმოკლული, დარდით გათავებული ადამიანების მიმართ ამის თქმა, მაგრამ სიმართლეს ვერსად გაექცევი.

და ეს პირველად არ ხდება. ადრეც იყო მსგავსი შემთხვევა, სხვათა შორის, მაშინაც იქ, კოლხეთში — სიბრძნით, სიდინჯით, მიცვალებულის პატივისცემისა და რიდის უძველესი და უმშვენიერესი ტრადიციების კუთხეში, თენგიზ აბულაძის „მონანიების" ფაბულის უმთავრესი მომენტი, ეტყობა, არ არის ოდენ წარმოსახვის ნაყოფი.

— კაცის კვლა უმძიმესი ცოდვაა, — მითხრა ქაშუეთის წმინდა გიორგის ტაძრის დეკანოზმა ელიზბარმა (ოდიშვილმა), — მკვლელი მოკლულს ყოველგვარ ცოდვას უხსნის და თვითონ იტვირთავს. განა ერთ კაცს ძალუძს ორმაგი ცოდვა — სხვისიც და თავისიც ატაროს? სასამართლო და ციხე სრულად ვერ მიაგებს დამნაშავეს. ეკლესია კი ადამიანის სიცოცხლის ხელმყოფელს 20 წლის უზიარებლობას აკისრებს, დამნაშავემ მონასტრულად, სინანულში უნდა იცხოვროს ამ ხნის მანძილზე. საშინელი ცოდვაა მიცვალებულის ამოთხრა — გვამის წვალებაც. დასაფლავებისას მას ვუთხარით, „მიწა ხარ და მიწად იქეცი", და ამ დროს არ აცლი, რომ მიწად იქცეს, აღსრულდეს ღვთის ნება? ღმერთი ყველაზე მაღალი და ძლიერი მსაჯულია, რამეთუ ის ჭეშმარიტების დამცველია, თავად არის ჭეშმარიტება. ღმერთი ყველას თავისას მიაგებს. „აჰა, მოვალ მალე და ჩემი საზღაური ჩემთან არს, რათა თითოეულს მისი საქმეებისამებრ მივუზღო", — ნათქვამია იოანეს გამოცხადებაში. თუ სურთ, რომ ეს მისაგებელი ღმერთის მიერ იყოს აღსრულებული, მიცვალებულის მშობლებმა, ოჯახის წევრებმა უნდა აღავლინონ ლოცვები ღვთის სადიდებლად, იკითხონ დავითის ფსალმუნები. მართალია, ჩვენ ადამიანები ვართ და გვინდა ჩქარა აღსრულდეს ღვთის განაჩენი, მაგრამ აღსრულდება მაშინ, როცა ღმერთი მოისურვებს. ნუ ვარისხებთ მას ახალ-ახალი ცოდვებით. ჩვენს ერს მრავალგზის გაუძლია ადამიანური სასჯელებისთვის, მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს იგი ღვთის სასჯელისგან!

ამინ!

ჭეშმარიტად, ღმერთის საზღაური ღმერთთან არს, რათა თითოეულს მისი საქმეებისამებრ მიეზღოს.

ალეკო ასლანიშვილი.

„მშვიდობა ყოველთა" საერთაშორისო საზოგადოების „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" გაზეთია

მშვიდობა ყოველთა ჩვენი საზოგადოების ზეამოცანა და პრინციპია;
მშვიდობა ყოველთა ჩვენი გაზეთის ნორმა და მიზანია;
„მშვიდობა ყოველთა" გაერთიანების, აღმშენებლობისა და პროგრესის კურსია.
„მშვიდობა ყოველთა" კეთილგანწყობის, თანადგომისა და თანამშრომლობის სურვილია.
„მშვიდობა ყოველთა" დადებითი ემოციებისა და საქმიანი ურთიერთობის ატმოსფეროა.
„მშვიდობა ყოველთა" თქვენი სულიერი ეკოლოგიის გარანტია.
„მშვიდობა ყოველთა" ნიშნავს თქვენს პირად მონაწილეობას მშვიდობისა და სიცოცხლის გადარჩენაში.

თუ ზემოთ თქმულს ეთანხმებით, გამოიწერეთ და იკითხეთ გაზეთი „მშვიდობა ყოველთა"!

გაზეთის ინდექსია 66442.
ხელმოწერის ფასი:

თბილისში	რაიონებში
1 თვით — 80 თეთრი	1 თვით — 90 თეთრი
3 თვით — 2 ლარი და 40 თეთრი	3 თვით — 2 ლარი და 70 თეთრი
4 თვით — 3 ლარი და 20 თეთრი	4 თვით — 3 ლარი და 60 თეთრი

გრიპი საშიშია გართულებებით

მიმდინარე წლის იანვარში, რესპუბლიკაში დაფიქსირებულია მენინგოკოკის ინფექციის 12 შემთხვევა. ძირითადად დაავადებული იყვნენ ბავშვები, არის სიკვდილის შემთხვევებიც. დაავადებისათვის დამახასიათებელია მაღალი სიცხე, თავის ტკივილი, პირღებინება, კრუნჩხვები. ყველა ავადმყოფი საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს, რადგან ცდილობდნენ ემკურნალათ შინ და დროულად არ მიმართეს ექიმებს.

ინფექციონისტები ვარაუდობენ, რომ დაავადება, შესაძლოა, არის გართულება გრიპის შემდეგ. მედიკოსები აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ ხანს ექიმებს თითქმის აღარ მიმართავენ, სამაგიეროდ, აფთიაქებში სწრაფად ილევა სიცხის დამწევი პრეპარატები. ასე რომ, ოფიციალური სტატისტიკა გრიპით დაავადებულთა რაოდენობის შესახებ არ არსებობს.

ექიმები გვაფრთხილებენ: გრიპი საშიშია გართულებებით, უწინარეს ყოვლისა, ბრონქიტითა და პნევმონიით. ამიტომ არ ღირს თვითმკურნალობა, საჭიროა დაუყოვნებლივ მიმართოთ ექიმს.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1996 წლის 3 თებერვლიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	0,9265 ლარი
ავსტრიული შილინგი	0,1198 ლარი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	1,8825 ლარი
10 ბელგიური ფრანკი	0,4096 ლარი
გერმანული მარკა	0,8427 ლარი
ჰოლანდიური გულდენი	0,7523 ლარი
დანიური კრონი	0,2177 ლარი
1000 იტალიური ლირა	0,7833 ლარი
კანადური დოლარი	0,9063 ლარი
ნორვეგიული კრონი	0,1920 ლარი
აშშ დოლარი	1,2500 ლარი
ფინური მარკა	0,2750 ლარი
ფრანგული ფრანკი	0,2452 ლარი
შვედური კრონი	0,1803 ლარი
შვეიცარული ფრანკი	1.0358 ლარი
10 იაპონური იენი	0,1171 ლარი
ეკიუ	1,5418 ლარი
10 ესპანური პესეტა	0,0994 ლარი
100 ბერძნული დრაჰმა	0,5087 ლარი
ირლანდიური გირვანქა	1.9517 ლარი
10 ისლანდიური კრონი	0,1867 ლარი
ქუვეიტური დინარი	4.1745 ლარი
1000 ლიბანური გირვანქა	0,7859 ლარი
100 პორტუგალიური ესკუდო	0,8109 ლარი
სინგაპურული დოლარი	0,8807 ლარი
10 000 თურქული ლირა	0,2008 ლარი
ეგვიპტური გირვანქა	0,3683 ლარი
1000 რუსული რუბლი	0,2400 ლარი
ლიტვური ლიტი	0,2839 ლარი
ლატვიური ლატი	2.0992 ლარი
10 ესტონური კრონი	0,9570 ლარი
100 000 უკრაინული კარბოვანეცი	0,6228 ლარი
10 ყაზახური ტენგე	0,1734 ლარი
მოლდოვური ლეი	0,2506 ლარი
ყირგიზული სომი	0,1019 ლარი
10 000 ბელორუსული მანეთი	0,9324 ლარი
10 უზბეკური სუმი	0,3111 ლარი
1000 აზერბაიჯანული მანათი	0,2520 ლარი
100 სომხური დრამი	0,2827 ლარი

არაგვი ბიზნეს ბანკი
ARAGVI BUSINESS BANK

სააქციო-კომერციული ბანკი
„არაგვი
ბიზნეს ბანკი"

აგრძელებს კრედიტების გაცემას ფიზიკურ პირებზე
ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში
(აშშ დოლარი) ძვირფასი ლითონისა
და ქვების დაგირავებით.
კრედიტის გაცემა წარმოებს ყოველდღე
14 საათიდან 16 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

ცნობებისათვის დარეკეთ:
93-25-94, 99-82-23, 37-44-51
ჩვენი მისამართია: ვაჟა-ფშაველას გამზ. 16, I სართული

არაგვი ბიზნეს ბანკი
ARAGVI BUSINESS BANK

ხსოვნა

ნინო გონაძე

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ნინო ვასილის ასული გონაძე.

წავიდა სიკეთითა და უბრალოებით დამშვენებული ქალი, რომელიც უშურველად გვინაწილებდა სითბოსა და სიყვარულს. მას ხომ უზადო პროფესიონალიზმთან ერთად განსაკუთრებული შინაგანი გაწონასწორებულობა, თანდაყოლილი ტაქტი და კეთილშობილება ამკობდა, რაც მის მშვენიერ გარეგნობასაც განუმეორებელ ხიბლს მატებდა.

სამწუხაროა, რომ ორმოცის გასვლის შემდეგ მალე გაჰყვა თავის საყვარელ მეუღლეს გიორგი გონაძეს, — მათ აამაგალითო მეუღლეობა ჰქონდათ და დიდხანს ვერც გაძლეს ურთმანეთოდ. ერთად დატოვეს ტკბილი ოჯახი, შვილი, შვილიშვილები, შვილთაშვილი და მადლიერ მოწაფეთა გულები.

ნათელში ყოფილიყოს მათი სულები.

ოჯახი, მეგობრები და ახლობლები.

გახსენება

ვალერი სოკოლოვი

ერთი წელიწადი გავიდა, რაც ჩვენს გვერდით აღარ არის ვალერი სოკოლოვი — ერთგული მეგობარი და უნიჭიერესი ფოტოხელოვანი.

ერთადერთი, რისი გაკეთებაც ვალერი სოკოლოვმა მოასწრო, ეს არის უამრავი მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული ფოტოსურათი. სწორედ ისინი უკვდავყოფენ ვალერი სოკოლოვს — ფოტოჟურნალისტს.

საქინფორმის კოლექტივი.

ამინდი

ზამთარიც იწურება

კლიმატური მონაცემებით ზამთრის ბოლო თვე თებერვალი საქართველოს ტერიტორიაზე ტემპერატურული რეჟიმის მიხედვით, იანვართან შედარებით 1 გრადუსამდე უფრო თბილია. თვის საშუალო ჰაერის ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში მერყეობს 4-დან 7 გრადუსამდე, ქართლის ვაკესა და კახეთში 1 გრადუსი ყინვიდან 3 გრადუს სითბომდე, ხოლო უმეტეს მთიან და მაღალმთიან რაიონებში 0-დან 5 გრადუს ყინვამდე. ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი დაბლობ რაიონებში აღწევს 18-24 გრადუსს, აბსოლუტური მინიმუმი — დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ეცემა 8-16, ქართლის ვაკესა და კახეთში 11-25 გრადუს ყინვამდე.

ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში შეადგენს 80-170 მმ-ს (აჭარის სანაპირო რაიონებში 200-210 მმ-ს), აღმოსავლეთ საქართველოში კი მერყეობს უმეტესად 20-დან 50 მმ-მდე.

ჰიდრომეტეოროლოგიის რესპუბლიკური ცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, მიმდინარე წლის თებერვალში თვის საშუალო ჰაერის ტემპერატურა ქართლის ვაკესა და კახეთში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობასთან ახლოს, რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებში 1-დან 2 გრადუსამდე მასზე დაბალი. თვის მეორე ნახევარში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 2 გრადუსი სითბოდან 3 გრადუს ყინვამდე. მთაში 7-12, მაღალმთიან რაიონებში 12-17 გრადუს ყინვამდე. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში 4-9 გრადუს ყინვამდე (შიდა ქართლში 12-17), მთიან რაიონებში 13-18, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 17-22 გრადუს ყინვამდე.

ნალექების რაოდენობა რესპუბლიკის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობასთან ახლოს და მასზე მეტი.

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში თვის მეორე ნახევრის აცივება ციტრუსებზე უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს, ვინაიდან ისინი ზამთრის მოსვენებით მდგომარეობაში იქნებიან.

აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან რაიონებში თოვლის ქვეშ მოქცეული საშემოდგომო მარცვლეული კულტურები ყინვისაგან არ დაზიანდებიან, დაბალ ზონაში კი მათთვის საშიში ტემპერატურა მოსალოდნელი არ არის.

აღმოსავლეთ საქართველოს ზამთრის საძოვრებზე მოსალოდნელი ამინდის გათვალისწინებით, ბატკნებს დროგამოშვებით ფარეხში ყოფნა მოუწევთ.

მიმდინარე წელს საქართველოს მდინარეთა წყლიანობა მოსალოდნელია დასავლეთ საქართველოში ნორმაზე მეტი, აღმოსავლეთ საქართველოში— ნორმის ფარგლებში. წყალსაცავებში წყლის შენაკადი კვლავ დაბალი იქნება.

იანვრის თვეში ჰაერის გაჭუჭყიანება თბილისში საშუალო მრავალწლიურის ფარგლებში იყო. მაღალი და ექსტრემალურად მაღალი გაჭუჭყიანება არ აღინიშნულა.

ნიკოლოზ ბერაძე,
საქმთავარჰიდრომეტის უფროსი.

ხსოვნა

გიორგი სიხარულიძე

გარდაიცვალა გიორგი სიხარულიძე — მეტყევე-ინჟინერი, რომელიც ბავშვობიდანვე ეზიარა ბუნების სიყვარულს და მამასთან — ცნობილ მეტყევესთან ვასილ სიხარულიძესთან ერთად ბუნების დაცვას ემსახურებოდა. მუშაობდა სიღნაღის რაიონში, ალაზნის საცდელ-სამელიორაციო სადგურში მარილიან და დამლაშებულ ნიადაგებზე, ჩოხატაურია, გორის რაიონის სატყეო მეურნეობებში, ბოლოს კი— კასპის რაიონის სატყეო მეურნეობის ტყის დაცვის უფროსად.

რაიონულ და ცენტრალურ პრესაში ტყის დაცვის შესახებ არაერთი წერილი აქვს გამოქვეყნებული. გამოუქვეყნებელი დარჩა სამეცნიერო ნაშრომი და ნარკვევები.

ბავშვივით გულღია, თბილი, უანგარო, ვაჟკაცური შემართების, კეთილი — მარადჟამს ასეთი დარჩება შვილებს, ახლობლებს, ნათესავებსა და მეგობრებს შორის.

მეგობრები.

გიორგი კვირკველია

77 წლისა გარდაიცვალა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ასტრონომიის კათედრის უფროსი მასწავლებელი გიორგი (გივი) დომენტის ძე კვირკველია — უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი, ომისა და შრომის ვეტერანი, სამაგალითო მოქალაქე.

გ. კვირკველიამ 1941 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი ასტრონომიის სპეციალობის პირველი გამოშვების ჯგუფთან ერთად. 1942 წ. მაისში იგი მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს, სადაც 1944 წლამდე სხვადასხვა ფრონტზე იბრძოდა ჯერ რიგით ჯარისკაცად, შემდგომ — ოფიცრად, საიდანაც ორი ორდენითა და მრავალი მედლით დაჯილდოებული დაბრუნდა და 1946 წლის თებერვლიდან მშობლიური უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრაზე დაიწყო მუშაობა. უკანასკნელ დღემდე ერთგულად და ნაყოფიერად ემსახურებოდა ქვეყნის მომავლის აღზრდის დიდად პასუხსაგებ საქმეს. წლების განმავლობაში იგი კითხულობდა სპეციალობის წამყვან კურსს ასტრომეტრიაში და სხვა დისციპლინებში. მან რუსულიდან თარგმნა ამ დისციპლინაში ცნობილი, პროფ. ს. ბლაჟკოს ასტრომეტრიის კურსი, შემდგომში კი თვითონ შეადგინა ორიგინალური ლექციის კურსი ამ დისციპლინაში, რომლის პირველი ნაკვეთის როტაპრინტულ გამოცემას თვითონაც მოესწრო. გ. კვირკველია დიდ დროსა და ენერგიას ახმარდა სასწავლო-აღმზრდელობით საქმეს, სტუდენტებთან მუშაობის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს და სხვა საორგანიზაციო ღონისძიებებს, მაგრამ იმის მონდომება და ხალისიც ჰყოფნიდა, რომ დაუღალავად ემუშავა ცოდნის გამავრცელებელ ორგანიზაციაში, კითხულობდა სამეცნიერო-პოპულარულ ლექციებს თბილისისა და უფრო მეტად — რესპუბლიკის რაიონების დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

როცა 1957 წელს ე. წ. კოსმოსური ერა იწყებოდა და საჭირო გახდა დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებზე დაკვირვებათა ოპტიკური ქსელის ჩამოყალიბება და ამოქმედება, საამისოდ გამოყოფილ პირველ სადგურთა შორის სამი საქართველოს ტერიტორიაზე გაიმართა: აბასთუმანში, ბათუმსა და თბილისში. ამ უკანასკნელი სადგურის მომზადებასა და ამუშავებაში გ. კვირკველიას, სხვებთან ერთად, მნიშვნელოვანი დვაწლი მიუძღვის. სწორედ ამიტომ, მრავალ მედალთა შორის, რომლებითაც გ. კვირკველია დაჯილდოებულა, არის კოროლიოვის სახელობის მედალიც.

გ. კვირკველიას სახით ჩვენ დავკარგეთ მაღალი მოქალაქეობრივი თვისებებით შემკული კოლეგა— შრომისმოყვარე, მოვალეობათა უანგარო, პუნქტუალური ამსრულებელი, პროფესიული კეთილსინდისიერების მფლობელი, პრინციპული და კოლეგიალური, კაცთმოყვარე ადამიანი.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი; მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი; ასტრონომიის კათედრა; აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია.

მეუღლე მარინე, შვილები ვასიკო (გუგა), თინათინი, მამა ვასილი, დები ცისანა, ლამარა სიხარულიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი ვასილის ძე სიხარულიძე

დაკრძალვა 6 II 1 ს. გორში, ლუნაჩარსკის 12.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია თანაუგრძნობს ცისანა სიხარულიძეს ძმის

გიორგი სიხარულიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატა სამძიმარს უცხადებს ქვემო ქართლის რეგიონის კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეს მამუკა კალმახელიძეს მამის

ვაჟა კალმახელიძის

გარდაცვალების გამო.

შ. პ. ს. ფირმა „ვერეს" ღვინის ქარხნის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მუშაკი

თამარ ზაზას ასული ქამუშაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ფასების სახელმწიფო ინსპექცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ინსპექციის უფროსის ალექსანდრე მაისურაძის მამა

სერგო მაისურაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო კომპანია „მედინსერვის" თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი (ჟორა) სიმონის ძე ზაზაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სააქციო საზოგადოება „ინტერმედის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საზოგადოების პრეზიდენტის ზაურ გონაძის დედა

ნანა ვასილის ასული გონაძე

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

საბურთალოს რაიონის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭო თანაუგრძნობს ამავე საბჭოს პრესცენტრის უფროსს გიორგი ივანეს ძე ალავერდაშვილს მეუღლის

მერი ლავრენტის ასულ ლომიძის

გარდაცვალების გამო.

ნორა, ბიძინა, ლალი, თამრიკო, ლევან, მამუკა მიქელაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან ალექსანდრეს ძე სულაქველიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მამა გივი დანელია, დედა მანანა გეგელია, მეუღლე თამუნა მეხაშიშვილი, და ელისო, სიძე ზაზა კვარაცხელია, სიმამრი სოსო მეხაშიშვილი, სიდედრი ჟულიეტა აბრალავა, ბიძები ახმედ დანელია, ვალოდია ბასილაია, გოჩა გეგელია ოჯახებით, დეიდები, ცოლისდა მაიკო, ბიძაშვილები თენგო, თამაზი, მძახალი ინდიკო კვარაცხელია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აკაკი გივის ძე დანელია

პანაშვიდი 3, 4, 5 II 2 ს. გამოსვენება 6 II 1 ს. ორხევი, კაკაბაძის 1.

და ლალი, დისწული ნინო, რძალი ნაზი, ძმისწულები ალეკო, ნიკა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლია ჟარბაძე

პანაშვიდი 4, 5 II, გამოსვენება 6 II, 2 ს., ფოთის 6.

მორიგე რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი

გამომცემელი - შპს „პრესა"
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66484. ტელ.: 99-78-24.
მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი